საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარეგო ეროელა ქვეყნისა, შეერიეთ!

სამშაბათი, 16 დეკემბერი, 1919 წ.

ქართველი

ფასი 2 მანეთი

გაზეთი დირს 1 თვით 50 მანეთი, ექვსკვირეულ 3 მანეთი. განცხადების ფასი ერთ სტრიქონზე 1 ხაზზე 4 მანეთი. მეორეს გვერდზე 3 მან. საბოლოოვანრო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 80 მანეთი. ნიხნა განცხადებები ან დასაბეჭდავ. რედაქცია და კანტორის ადრესი: რუსთაველის ხ. № 24.

ტელეფონი 18—62.

№ 286 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 286

ქუთაისის მუშათა პროფესიონალური კავშირების ცენტრალური საბჭო მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს ძვირფასი ამხანაგის

აკაკი ქავთარაძის

ტრადიკულათ გარდაცვალებას. (3267—2—2)

ქუთაისის სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის გამგეობა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს ძვირფასი ამხანაგის

აკაკი ქავთარაძის (ან-ქანის)

ტრადიკულათ გარდაცვალებას. (3266—2—2)

იოსებ და ბარდა ფულარიები უგულითადესი მწუხარებით ვწუხვართ და ვსტირით ძვირფასი და საყვარელი ამხანაგის

აკაკი ქავთარაძის

უდროვოთ და ტრადიკულათ გარდაცვალებას. (3268—2—2)

ღრმად დამწუხრებული მარიამი და ვალერიან ბერაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ მეგობრებს მათი უსაყვარლესი და მამის მაგიერის, ბიძის

გიორგი ესეს ძე სიხარულიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა გურიაში, სოფ. ჭალაში, სამშაბათს, 16 ქრისტეშობისთვეს. (3280—1—1)

საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოება

ამით აუწყებს ბ. ბ. აქციონერთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ 1920 წლის იანვრამდე შემოტანილი არ იქნება აქციების ხვედრი ფული, თანახმად წესდების მე-20 მუხლისა, მყიდველთ ეკარგებათ უფლება აქციებზე და უკვე შემოტანილი ფული ხარჯების გამოკლებით, დაუბრუნდებათ უკან.

(3—2) **გამგეობა.**

ესპეროვსკის ცირკის დარგაზზე

(ვერის დალმართი).

კვირას, 21 დეკემბერს, დილის 12 საათზე, დანიშნულია თფილისის ქალ. მილიციის კოოპერატივის წევრთა საერთო

ჩვეულებრივი კრება

დღიური წესრიგი: 1) გამგეობის მოხსენება კოოპერატივის, 1918 წლის და 1919 წლის, მეორე ნახევარის მოქმედების შესახებ და წლიური ანგარიშის განხილვა; 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება; 3) გამგეობის ორი წევრის არჩევა; 4) სარევიზიო კომისიის არჩევა; 5) მიმდინარე საკითხები. კრებაზე კენჭის ყრაში მონაწილეობისათვის საჭიროა კოოპ. საწევრო წიგნაკების წარმოდგენა.

(3270—2—2) **გამგეობა.**

მსოფლიო გალეშვიზმი

ბალშევიზმი იმპერიალისტური ომის წყეული მემკვიდრეობაა. ბალშევიზმით გაჟღენთილია მთელი ქვეყნიერება, მთელი კაცობრიობა, ყველა წრეები და კლასები. ყვილა გონიათ ზოგიერთებს, რომ თითქოს ბალშევიზმი მხოლოდ კომუნისტურია, რომ დღეს ბალშევიკობენ მხოლოდ მემარცხენე ელემენტები. თითქოს ეს მოვლენა მხოლოდ ჩაგრულ კლასებში იკიდებს ფეხს. არა. ბალშევიზმი ეს მსოფლიო მოვლენაა, ის არის არა სოციალური რევოლუცია, არამედ სოციალური დაშლა და განადგურება. ამ დაშლა დანგრევის პროცესმა და მისმა შესაფერმა ფსიხოლოგიამ ყველა და ყველაფერი ჩაითრია თავის ფერხულში. ბალშევიზმი არის დამახასიათებელი არა ერთი რომელიმე კლასის, არამედ მთელი ისტორიული ეპოქის. საფუძველი ამ მოვლენის არის წარსული და ჯერ კიდევ არ დამთავრებულა მსოფლიო ომი. ეს ომი იყო ერთი უსაშინელესი გამანადგურებელი მოვლენა, მან გააჩანაგა საუკუნოებით დაგროვილი სიმდიდრე, გაანიავა განუსაზღვრელი მარაგი და დოვლათი; მოადუნა საწარმოო ძალები, მოსპო ტრანსპორტი, თვით მიწის ნიადაგიც კი მოსპო და გაანადგურა (როგორც, მაგალითად, ბელგიაში, ჩრდილო საფრანგეთში, გალიციასა და პოლონეთის ნაწილებში). ამ ომმა დაგლიჯა და აწეწა საერთაშორისო დამოკიდებულების ძაფები. ერთი სიტყვით მთელი მსოფლიო აიფუნგა, აირია. ქვეყნიერება საშინელ უბედურულს მიადგა, მას დაუპყრია მოელის. შიმშილი, სიცივე, ეპიდემია, გამუდმებული ომი, ომი სამოქალაქო და ომი საერთაშორისო. დღეს ანარქია მსოფლიო მოვლენაა მხოლოდ სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ფორმას, სახესა და მიმართულებას ღებულობს.

ომამდის მთელი კაცობრიობა ერთი მთლიანი ეკონომიური ორგანიზმი იყო. მის ნაწილებს შორის არსებობდა შრომისა და წარმოების განაწილება და აი ომმა მოსპო და დაარღვია ეს მთლიანობა. ამ გარემოებამ კი გამოიწვია ქვეყნიერების ეკონომიური დაბეჩავება, გადატაკება. კაცობრიობას არ ყოფნის მიმა, მხოლოდ არა კომუნისტური. ეს ბრძოლაა არსებობისათვის, სრულიად გატიტვლებული, სწორედ იმ სახით, როგორც ეს პირუტყვთა შესახებ დარვინმა გამოიმუშავა. აქ საზოგადოებრიობა, სოციალობა მოსჰობილია. თავისებური ბალშევიზმით გაჟღენთილია ყველა ჯგუფი, ყველა კლასი. ბალშევიზმი მსოფლიო მოვლენაა, ის სიღატაკის ნიადაგზე აღმოცენებული მომხმარებელი მოძრაობაა. დღეყანდელ ყოველგვარ მოძრაობას, ბურჟუაზიულია ის თუ სოციალისტური, ეროვნული თუ საერთაშორისო, მაინც ბალშევიზმის ელფერი აძევს. ქვეყანა იღუპება, ყველას საჭმელი არ ეყოფა, აბა თავს უშველეთ! აი ასეთი ლოზუნგის ქვეშ მიმდინარეობს კაცობრიობის დღევანდელი ისტორია და აი სწორეთ თითეული მოქალაქე, ჯგუფი, ერი, სახელმწიფო თვისათ, საკუთარი გზითა და ჭკუით შველის თავის თავს. მის მაგივრად, რომ დასაღუპავ გემის მგზავრებმა შეკრან მტკიცე არტელი, საზოგადოება და საერთო ძალით გემსა და მით თავს უშველონ, ისინი პანიკას მისცემიან, გაშმაგებული დარბიან გემის ბაქანზე, ერთი-მეორეს ხელიდან სტაცებენ ნავებსა და გადასარჩენ რგოლებს. მის მაგიერ, რომ წყეული ომის წყეული მემკვიდრეობა რაც შეიძლება მალე აღმოფხვრან საერთო ძალებით, კაცობრიობა დაიშალა, მისი ნაწილები ერთი-მეორეს გლეჯენ და სწეწავენ ხელიდან უკანასკნელ ლუკმას და ამით ფიქრობენ, რომ თავს გადარჩენენ. ასე იქცევა ლუმპენ პროლეტარი, ამ გზაზედ ადგია სოვდაგარი, მტაცებლობის პოლიტიკას აწარმოებს დამარცხებული, მეტის უფლებითა და ძალით ამასვე სჩადის გამარჯვებული სახელმწიფონი. ბალშევიზმმა ჩაითრია თავის ფერხულში არა მარტო რუსის ბოსიაკი, არამედ იმპერიალისტური ევროპის ბუმბერაზი ხელმძღვანელებიც. ამ უკანასკნელთ უნდა ახსოვდეთ, რომ რუსეთის, გერმანიისა და სხვა ქვეყნების შიმშილსა და უბედურებაზე ვერ აშენდება მათი ქვეყნების ბედნიერება. თქმულება ფარაონის ძროხების შესახებ მათ უნდა სახელმძღვანელო წიგნათ დაიდონ მაგიდაზე. ნუ თუ ამ დიდ კაცებს არ აქვთ ნათლად წარმოდგენილი, რომ, თუ არ აღდგა ნორმალური საერთაშორისო და ეკონომიური ურთიერთობა, სხვისი წანაღლეტით მხოლოდ ორ სამ დღეს თუ დაიპურებ სულს. საფრანგეთს სანამ საარის ხეობა და ელზასი არ ქონდა, ნახშირი ყოფნადა, დღეს სამგზავრო მატარებლები შეაჩერა ნახშირის უქონლობის გამო.

აუშვით ყველა საწარმოო ძალები, დაფუძნებლივ აღადგინეთ ნორმალური საერთაშორისო ურთიერთობა, როგორც პოლიტიკაში ისე ეკონომიაში, მოსპეთ ყოველგვარი ბლოკადები, შეადგინეთ ყველა ერიდან და სახელმწიფოდან ერთი დიდი ეკონომიური კოოპერაცია, გაანაწილეთ მათ შორის შრომა და წარმოება, მიეცით საშვალება თავისუფალ სისხლის ტრიალისა მსოფლიო ორგანიზმში და ის მაშინ გამომთელდება.

მსოფლიო კაცობრიობა გადარჩება, როგორც ერთა და სახელმწიფოთა მჭიდრო კავშირი და მთლიანი ორგანიზმი, ანდა მთლიანად დაიღუპა.

მთელი კაცობრიობა ვულკანზე ზის, ზოგს გონია, რომ თუ იფეთქა ამ ვულკანმა, სოციალისტურად იფეთქებსო. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ შიმშილისა და ჭირის ნიადაგზე აფეთქებული მოძრაობა წალეკავს კულტურას, სიმდიდრეს, კაპიტალიზმს, ხოლო სოციალიზმს კი ვერ დაამყარებს და საშუალო საუკუნოებში გვიკრავს თავს.

დიახ, კაცობრიობა დგას ისეთი საფრთხის წინაშე, რომ შესაძლებელია მის ისტორიაში გამეორდეს საშვალო საუკუნოები ახალი ფორმითა და სახით.

საერთაშორისო სოლიდარობა, საერთაშორისო შრომის განაწილება, მტკიცე საერთაშორისო ზავი, აი გზა კაცობრიობის შველისა და ხსნის.

შენიშვნები

VIII

ბიუროკრატიზმი.

ბიუროკრატიზმმა დალუპა რუსეთი. ბიუროკრატიზმი გზას იკაფავს ჩვენშიაც. თითქოს არ იყო მისთვის ნიადაგი, თითქოს ის უცხო უნდა ყოფილიყო ჩვენთვის. ნამდვილათ კი ისე გაძლიერდა და ფეხი მოიკიდა ჩვენს სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ ორგანოებში, რომ მის წინააღმდეგ ბრძოლა აუცილებელი ხდება.

ჩვენ არ გვქონია ტრადიცია ბიუროკრატიზმის, ჩვენ არ ავღზრდილვართ ბიუროკრატიულ ატმოსფერაში და საკვირველია, საიდგან და როგორ გაჩნდა ჩვენს ახალგაზრდა დაწესებულებებში ბიუროკრატიის თვისება და ხასიათი. თითქოს ჩვენი მოხელენი ყველა ახალი ხალხია, უჩვეული, უთვისო და შორს მდგომი ძველ „კანცელიარშჩინასთან“!

ყველაზე მეტად მავნებელია დღევანდელ პირობებში საქმის წარმოების ისეთი გაჭიანურება, რომელიც ასე აშკარათ ემჩნევა ჩვენი დაწესებულებების მუშაობას. განსაკუთრებით მავნებელია დღეს, როცა ყოველ დღიური ამბები კინემატოგრაფიული სისწრაფით მისდევენ ერთმანეთს და რომლებიც ასეთივე სისწრაფით ითხოვენ პასუხს. თუ სახელმწიფო აპარატი ვერ შესძლებს ფეხდაფეხ გაჰყვეს და სათანადო პასუხი გასცეს ყველა იმ კითხვებს, რომლებიც მისგან პასუხს ითხოვენ, იმდენად მაინც არ უნდა ჩამორჩეს, რომ მათ შორის დარჩენილი მანძილი სახიფათო გახდეს, როგორც ერთისთვის ისე მეორესათვის.

საქმის ასეთი გაჭიანურებით, ხშირათ პასუხის მიუცემლობით და აჭა იქ თვით საქმის ქაღალდის დაკარგვითაც ყველაზე უფრო ისჯებიან პროვინციის დაწესებულებანი. არა ერთი და ორი ერობის და ქალაქის მოღვაწე გვინახავს საყვედურით: უბრალო რამისთვის ათი დეპეშა უნდა გამოგზავნო. ყველაფერზე თვითონ გვიხდება ჩამოსვლა და ეს იმდენ დროს და ხარჯებს ითხოვს, რომ ადგილობრივ მუშაობას მეტად ემჩნევა და დიდათ უშლის ხელსო. ასეთივე საყვედური გაისმოდა სხვადასხვა ყრილობებზედაც.

„ხვალ მოდი“—ეს ფრაზა მეტად პოპულიარული გახდა ზოგიერთ ჩვენ დაწესებულებაში, და ამის წინააღმდეგ ზომების მიღება გადადებას არ ითმენს. მართალია ბევრი მოხელე თვით ებრძვის ასეთ წესებს, მარა დაწესებულებების მაშინა ისეთი რამაა, რომ თუ ერთი ვინტი ზანტათ, ან ღრიჭინით ტრიალებს, მთელი აპარატის მუშაობა შეფერხებულია. ასეთი ღრიჭინა ვინტები კი არა ერთი და ორია და აუცილებელი საჭიროება მოითხოვს მათ შეკეთება-შესწორებას. ამას უურადღება უნდა მიაქციოს, პირველ ყოვლისა, თვით იმ მოხელეთა კოლეგიამ, რომელიც დაინტერესებულია ხალხის სამსახურით, და ცდილობს თავის წვლილი შეიტანოს ქვეყნის საერთო შენებაში. და განსაკუთრებული უურადღება უნდა მიაქციონ ამას თვით უწყების ხელმძღვანელებმა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ დღეს ჩვენ ისეთ პირობებში ვიმყოფებით, როცა ყოველივე დაკარგული წუთი ხშირათ თვეებს უდრის. მართალია ჩვენ ამ ჟამათ მართვა გამგეობის წესების დამყარების პროცესში ვართ, ამიტომ შეუძლებელია ერთბაშათ ყველაფერი ისე მოვაწყოთ, როგორც ეს ჩვენ გვესმის და გვინდა, მარა ეს კიდევ არ გვაძლევს საბუთს, რომ სასტიკათ არ ვებრძოლოთ ამ მავნე ტენდენციების გაჩენა-გაძლიერებას.

მეტი სიმარტივე, მეტი სიჩქარე საქმეების წარმოებაში, მეტი სიმტკიცე მის ცხოვრებაში გასატარებლათ—აი რას ითხოვს მომენტი, აი რას უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება.

განი.

დამფუძნებელი კრება

13 დეკემბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

ი. გომართლის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი შემდეგი დეკრეტებისა: 1) გზათა დეპარტამენტისთვის 88,425 მან. კრედიტის გახსნისა მთავარ საავტომობილო სახელოსნოს გასაფართოებლათ ხარჯების დასაფარავად, 2) თფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგრონომიო განყოფილების გახსნისა, 3) რკინის გზის დეპარტამენტისათვის 52,284,200 მან. დამატებითი კრედიტის გახსნის შესახებ 1918 წ. ზენახარჯის დასაფარავად, 4) მაზრის მილიციის მოსამსახურეთათვის ჯამაგირის გაღების შესახებ, 5) ქალაქთა მილიციის მოსამსახურეთათვის ჯამაგირის გაღების შესახებ, 6) სამხედრო სამინისტროს ვალების დასაფარავათ 4 მილიონი მანეთის გაღების შესახებ, 7) სამუსულმანო საქართველოს, აფხაზეთის და საქართველოს სხვა განაპირა კუთხეთა ახალგაზრდებისათვის სტიპენდიების დასანიშნავად 200,000 მან. გადადების შესახებ, 8) იუსტიციის მინისტრის განკარგულებაში 86,867 მან. გადადების შესასებ იუსტიციის სამინისტროს დაწესებულებათა 1918 წ. ვალების გადასახდელად, 9) დამფუძნებელი კრების კანცელარიის შტატის დამატების დამტკიცების შესახებ, მიღებულ იქნა აგრეთვე საბოლოო ტექსტი შემდეგი კანონებისა: 1) აწ მომქმედ თამასუქის წესდების ზოგიერთი მუხლის შეცვლის კანონისა, 2) ნავთსადგურებში გადასახადთა ახალი ნიხრის დაწესების კანონისა და 3) კანონისა მუშათა დამზღვევ კანონის მე-65 ე მუხლის შეცვლის შესახებ.

ვ. თევზაიას მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი—ხაზინიდან 6500000 მან. გადადებისა ტელეგრაფისა და ტელეფონის ქსელისათვის საჭირო მასალების და აპარატების შესაძენათ.

გრ. ურატაძის მოხსენებით მეორეთ განხილულ და მიღებულ იქნა ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრის საბჭოს დებულება და კანონ პროექტი.

ექვთ. თაყაიშვილის მოხსენებით მეორეთ განხილულ და მიღებულ იქნა კანონ-პროექტი ბეჭვეთითა ნაწარმოების მთავრობისადმი წარდგენის შესახებ.

ვ. ჯუღელის, ზ. გურულის და **ი. ხალაყაიას** მოხსენებით მეორეთ განხილულ და მიღებულ იქნა კანონ პროექტი სახალხო გვარდიის შესახებ (დახურულ კარებში).

ი. ხალაყაიას მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი სახაზინო რკინის გზის ადმინისტრაციის საგზაო ფულით დასაკმაყოფილებლათ 1919 წ. აგვისტოს 1 დან ნოემბრის 1-დე ყოველთვიურათ 14,766 მან. გაღების შესახებ. დასასრულ ფარული კენჭის ყრით მოხდა თავისუფალ თანამდებობაზე სენატორის არჩევა. არჩეულ იქნა ვ. ხარაზაშვილი. მიიღო 42 თეთრი, 4 შავი და 4 მა თავი შეიკავა.

გვარდიის დღე

პროვინციაში.

კახეთის რკინის გზის დემოკრატია დიდის ზეიმით შეხვდა გვარდიის დღეს, 12 დეკემბერს. წინასწარ სადღესასწაულო მუშაობას აწარმოებდა კახეთის რკინის გზის პროფ. კავშირის გამგეობა ნავთლუღის გვარდიის შტაბთან ერთად. წინდაწინვე ყოველივე ზომები იქნა მიღებული, რომ სამგზავრო მატარებელი და აგრეთვე ყველა სადგურები შესაფერად ყოფილიყვენ მორთულნი. მატარებელს უნდა გაეყოლოდენ აგიტატორები და მუსიკა. რადგან მუსიკასაც დაგვჭირდენ და აგიტატორებსაც, ამიტომ მთელ ლიანდაგს დეპეშით ეცნობა ამის შესახებ, მაგრამ სამწუხაროდ დაპირება ვერ გავამართლეთ: აგიტატორები არ მოვიდნენ, ვერც მუსიკა ვიშოვეთ.

ათის ნახევარი იქნებოდა, რომ საუცხოოთ მორთული მატარებელი დაიძრა კახეთისაკენ. ორთქლმავალი და ვაგონები მორთული იყო პლაკატებით, გირლიანდებით და წითელი დროშებით. ორივე მხარეზე ჩამოკიდული იყო რამოდენიმე დიდი პლაკატები ზეწარწერით: „სალამი კახეთის დემოკრატიას“.

ყველა სადგურები მშვენივრათ იყო მორთული, მაგრამ საუცხოოთ მორთულ მოკაზმული იყო სად. გურჯაანი, კარდანახი და ვაჩნაძიანი.

ყველა სადგურებზე ბევრი ხალხი გვხვდებოდა. ახლომახლო სოფლებიდან დიდი და პატარა ყველა მოსულიყო სადგურზე და მოუთმენლად ელოდენ საზეიმოთ მორთულ მატარებელს. სადგურებზე ჩამწკრივებულნი გვხვდებოდნენ გვარდიელები. ყველგან მათ მისასალმებელ სიტყვას ეუბნება ამბ. გ. ბალარიშვილი. სად. ფორზე ჩამწკრივებულიყვნენ პატარა მრწაფეები სართიჭალის ქართულ და ნემენცურ სკოლებიდან თავიანთ მასწავლებლების ხელმძღვანელობით. მშვენივრად მღეროდენ ნემეცი მოწაფეები. იქვე ჩამოსულიყვნენ სოფლის ახალგაზრდა ქალ-ვაჟნი წითელ ლენტებით და ყვავილებით მორთულნი და ცეკვა თამაში გაემართათ. უნდა აღვნიშნო, რომ ამ საერთო მხიარულებაში დისონანსი შეჰქონდა იმას, რომ ამ სადგურზე ყველაბებით ფულს აგროვებდნენ. მთავარ შტაბის მიერ კი გადაწყვეტილი იყო, რომ ამ დღეს ფულის შეგროვება არ მოხდარიყო.

ყველა სადგურებში აღფრთოვანებით და გულწრფელი სიხარულით გვხვდებოდა ხალხი. ყველა გრძნობდა დღესასწაულის სიდიადეს. აშკარად სჩანდა, რომ გვარდიის დღე, ეს ნამდვილი სახალხო დღესასწაულია.

შარშანაც დიდი ზეიმით ჩატარდა ეს დღესასწაული, მაგრამ წელს ამ ზეიმს რაღაც განსაკუთრებული სერიოზული ელფერი ეჰნევა. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ხალხში თანდათან მტკიცდება თავისუფლებისადმი სიყვარული და მის გულში უკვე დაიდგა ძეგლი ამ თავისუფლების დამცველის—სახალხო გვარდიის.

ვ. ბ—ძე.

რედაქციამ შემდეგი დეპეშები მიიღო.

ჩოხატაური. არაჩვეულებრივი მრავალ რიცხოვანი მიტინგი ჩოხატაურის რაიონის მოქალაქეთა უგზავნის რა გულწრფელ გულითად სალამს ჩვენს სიმამაცე სახალხო გვარდიის, ღრმადა სწამს რომ ის მომავალშიაც ჩვეულებრივად განაგრძობს მუშაობას საკეთილდღეოთ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკისა და მისი დემოკრატიისა. მიტინგის თავმჯდომარე **აფთონ ცინცაძე.**

ზესტაფონი. ზესტაფონში შეგროვილი მრავალრიცხოვანი მიტინგი 12 დეკემბრის აღსანიშნავათ აღფრთოვანებით მიესალმება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელ კრებას, მის მთავრობას და სახელოვან გვარდიის მთავარ შტაბს უსურვებს ძველებურად მტკიცედ დგომას ძველ პოზიციებზე საქართველოს დემოკრატიის საკეთილდღეოთ. ჩვენი მხრით ფიცსა ვდებთ ყველა, როგორც ერთი კაცი, გვერდში ვუდგებით შეიარაღებულ დემოკრატიას და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ ჩვენ დამოუკიდებლობის და თავისუფლების განსამტკიცებლად. მიტინგის თავმჯდომარე **შენგელია.**

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

14—15 დეკემბერი.

ამერიკულ პრესის ცნობები.

(ლიონის რადიო სადგურიდან) იმ 20,000 პოლონელ მუშიდან, რომლებიც საფრანგეთის განადგურებულ ოლქების აღსადგენათ უნდა მოსულიყვენ, უკვე მოვიდა პირველი პარტია 650 კაცისაგან შემდგარი. შემდეგ ყოველ-კვირეულად მატარებლით ჩამოვა დანარჩენი ნაწილი. რათა ამ მუშების საფრანგეთში ჩამოსვლა უზრუნველყოფილი გაეხადათ, საფრანგეთმა დანიშნა განსაკუთრებული მატარებლები, რომლებიც პირდაპირ წავლენ პოლონეთში, რათა საფრანგეთში ჩამოიყვანონ ყველა მსურველები, ვისაც კი საფრანგეთის აღდგენისათვის მუშაობა სურს.

შვეიცარიის ეროვნულ და სახელმწიფო საბჭოთა შეერთებულ სხდომაზე შვეიცარიის რესპუბლიკის პრეზიდენტათ აირჩიეს მოტტა, ვიცე პრეზიდენტათ კი შულეი.

შრანგეთის პრესის ცნობები.

...(დასაწყისი არ მიგვიღია)... ორთავ მთავრობის თავმჯდომარეები ამ კერძო მუხლში სავსებით შეთანხმდენ. შემდეგ, იმათ იმსჯელეს ინგლისისა და საფრანგეთისათვის სხვა საინტერესო საკითხებზე და დამაკმაყოფილებელ შედეგებს

დღეს

ფრანგული პრესა კმაყოფილია იმ მოლაპარაკების შედეგით, რომელიც ლონდონში იყო გამართული კლემანსოსა და ლოიდ ჯორჯს შორის.

ინგლისური პრესის ცნობით ინგლისს-საფრანგეთი შეთანხმდნენ ოსმალეთის, რუსეთის და პატარა ხალხმწიფოების საკითხებში.

„დეილ ტელეგრაფის“ ცნობით ინგლისს-საფრანგეთის მოლაპარაკების შედეგი იქნება მუდმივი სამშვიდობოს შექმნა, რომელშიც შეივლენ ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის და შეერთებული შტატების წარმომადგენლები.

ბალშევიკების ცნობით სამშვიდობოთა ჯარმა დაიკავა პოლტავა. ხალხიკი ბრძოლაა კიევის მიდამოებში.

მოხალისეთა ცნობა ადასტურებს სამშვიდობოთა ჯარის მიერ ხარკოვის დაკავებას. და აღნიშნავს, რომ მათ ხარკოვი უბრძოლველათ დასტოვეს.

მიაღწიეს. ხვალ კლემანსო და ლოიდ ჯორჯი განიხილავენ საერთო ხასიათის საკითხებს, რომლებიც ინგლისს, საფრანგეთსა და იტალიას ეხება. ბუბობაში მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე ბალთიაც. გაზეთები სიამოვნებით აღნიშნავენ კლემანსოსა და ლოიდ ჯორჯის შეთანხმებულ მოლაპარაკებას. „ეხო დე პარის“ სიტყვით დღეს იტალიისა და ამერიკის ელჩთა თანდასწრებით განხილულ იქნება საერთო ხასიათის საკითხები. ამერიკის ელჩს დავალებული აქვს თავის მთავრობას აცნობოს მოსალოდნელი გადაწვეტილებანი. ფრანგული გაზეთები სურვილს გამოსთქვამენ, რომ ამ მოლაპარაკების შედეგი იქნეს თუ კავშირი არა, ურთიერთის გაგება, და შეთანხმება მაინც, რაიც დანამდვილებით კავშირსავე უდრის.

ვაშინგტონიდან იტყობინებიან: მიუხედავათ იმისა, რომ დემოკრატები და რესპუბლიკანელები თავის შეურიგებელ პოზიციას ადგენენ, გიჩკოვი აცხადებს, რომ იგი კომპრომისის გამოძებნის იმედს არ კარგავს.

კლემანსომ ლუბერნსა და სხვა თანამხლებელ პირებთან ერთადკვირას 8 ს. დასტოვა ლონდონი. სადგურზე მასხალხმა ოვაციები გაუმართა პრეზიდენტი პარიზში კვირა საღამოსვე ჩამოვა.

„მატენის“ ცნობით ლონდონის კონფერენცია ბრწყინვალე შედეგებს იძლევა. გუშინ კლემანსომ განაცხადა, რომ იგი სავსებით დაკმაყოფილებულია ზოგიერთ საკითხის გადაჭრით მაგალ. სამხედრო ფინანსიურ, რუსეთისა და ოსმალეთის პრობლემათა გადაჭრით. სარწმუნოთ სთვლიან, რომ შეერთებული შტატები თუ ვერსალის ხელშეკრულებას ხელს არ მოაწერს, ყოველ შემთხვევაში საფრანგეთ ინგლის ამერიკის ურთიერთ სამხედრო თავდაცვის ხელშეკრულებას მაინც დაადასტურებენო. ფიქრობენ, სანამ იტალიასთან ფართო ხელშეკრულებას შეკრავენ—ინგლისი და საფრანგეთი ფიუმის ავანტიურის საკითხს დაამთავრებენო. „დეილი ტელეგრაფი“ კლემანსოს დარბაზობას საზავო კონფერენციის გაგრძელებათ სთვლის.

საფრანგეთის პრესის წარმომადგენლები აღნიშნავენ იმ ერთსულოვან და შეთანხმებულ მუშაობას, რომელიც ლონდონში სწარმოებდა. ლოიდ ჯორჯი ორშაბათს ან სამშაბათს ქვედა პალატაში მოხსენებას გააკეთებს კონფერენციაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ. საფრანგეთის მთავრობა თავის მხრივ გააკეთებს კერძო ხასიათის მოხსენებას, რომელიც ეკონომიურ საკითხებს შეეხება და რომელიც ხალხს დღეს განსაკუთრებით აინტერესებს.

მოკავშირეთა უმაღლესი საბჭო ორშაბათს მოუსმენს კანცლერ რენერს, რომელმაც შაბათს მოკავშირეთა დელეგაციების წარმომადგენლები ინახულა და რომელთაც ავსტრიის გაჭირვებული მდგომარეობა აუწერა.

იტალიის პალატაში ნიტტიმ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც გამოხატავდა ახლად მომხდარ არჩევნების შედეგის გამო თავის კმაყოფილებას. მან მიმართა სოციალისტებს და კათოლიკეებს მოწოდებით სოლიდარული მუშაობისაკენ.

ინგლისური პრესის ცნობები

ლონდონის მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებენ საფრანგეთის მხრივ: კლემანსო, ლონდონში მყოფი ელჩი კამბონი და ადმირალების მინისტრი ლუშური; შეერთებული შტატების მხრივ ლონდონში მყოფი ელჩი დევისი; იტალიის მხრივ: გარეშე საქმეთა მინისტრი შალოია და ელჩი მარკიზ იმპერიალი.

გუშინ ი—ის სხდომაზე განხილული იყო ხვა და სხვა საკითხი და მათ შორის ადრიატიკისა და რუსეთის. ნასადილევის სხდომა საფრანგეთისა და ინგლისის წარმომადგენლების საქმეს მოანდომეს. სხვათა შორის განხილული იყო საკითხები, რომლებიც კერძოთ საფრანგეთს ეხებოდა. საფრანგეთის ბირჟის მდგომარეობა გუშინ საღამოს ინგლისისა და საფრანგეთის სახელმწიფოებრივი პირების მსჯელობის საგნათ გახდა. დიდ კმაყოფილებას იწვევს იმ საკითხთა გადაწყვეტა, რომლებიც ომის შემდეგ აღიძრა, განსაკუთრებით იმ საკითხების, რომლებიც ეხება ოსმალეთს, რუსეთს, პატარა სახელმწიფოებს და მოკავშირეთა გერმანიის მთავრობისადმი დამოკიდებულებას. ალბათ, სწერს „დეილი ტელეგრაფი“, ამ კონფერენციის შედეგი იქნება შექმნა სამშვიდობოსი, რომელშიაც შევლენ ინგლისის, საფრანგეთის, იტალიისა და შეერთებულ შტატების წარმომადგენლებიო. ეს სამშვიდობო შეიკრიბება დრო გამოშვებით, როდესაც ამას საჭიროება მოითხოვს და სხვადასხვა ქვეყნის პარლამენტის მდგომარეობა ხელს არ შეუშლის. ამერიკის წარმომადგენელს იმდენი უფლება უნდა ქონდეს მინიჭებული, რომ იგი ყოველ კერძო შემთხვევაში ვალდებული არ იყოს ვაშინგტონს შეეკითხოს. სამშვიდობოს პირველი სხდომა მოხდება ალბათ პარიზში შობის დღესასწაულებში. უმაღლესი საბჭო თავის ეხლანდელ ფუნქციათა აღსრულებას განაგრძობს. შესაძლებელია, რომ მის მუშაობაში ზოგი რამ ცვლილება შეიტანონ.

ზერმანული კრესის ცნობები.

...(დასაწყისი არ მიგვიღია) .. ისინი გამოცემულია ოთხ ტომათ გრამონტ-გერასისა და პროფ ვალტერ შიკინგის მიერ კაუცკის თანამშრომლობით შეუმოკლებლად. უეჭველია, რომ ეს გამოცემა მახლობელ დროში პოლიტიკურ პარტიების დისკუსიებში დიდ როლს ითამაშებს. ისინი, ვისაც კაცობრიობის დაღუპვის მიზეზის პროვნებაში პოვნა სურთ, განსაკუთრებული ინტერესით შეისწავლიან ამ ნაშრომს. ვინც მიუდგომლათ წაიკითხავს და განიხილავს კაიზერის მრავალრიცხ. შენიშვნებს, იგი დარწმუნდება, რომ მაშინდელი იმპერატორი სხვადასხვაგვარ შთაბეჭდილებებს ახდენს. ირკვევა, რომ ვილჰელმს უყვარდა მკაცრი სამხედრო ტონის მიღება მაშინ, როდესაც იმედი ჰქონდა ამგვარათ დაეფრთხო საზღვარგარეთი და ამით უზრუნველეყო ზავის საკითხი. სხვა ვარ შთაბეჭდილებას ახდენს ის ამონაწერები, რომლებიც გამოხატავენ თითქოს კაიზერის ჩივილს თავის ბედზე და თანამომძებზე, რომელთაც არა სწამთ მისი კეთილი განზრახვები. ამ მხრივ საინტერესოა ერთი ვრცელი შენიშვნა მეფისა, რომელიც მაშინდელმა იმპერატორმა გაუკეთა 1914 წლის 30 ივლისის ნაშუადღევის ოთხ საათსა და ოცდა ათ წუთზე გრაფ პურტალესის მიერ პეტროგრადიდან გამოგზავნილ სასწრაფო დეპეშას, რომელიც კაიზერმა მიიღო 30 ივლისს საღამოთი. გრაფი პურტალესი დეპეშით აცნობებდა მას მეტად საყურადღებო ნახევარ საათს გაგრძელებულს საუბარს საზონოვთან, რომელმაც განაცხადა, რომ გამოცემული ბრძანება რუსეთში მობილიზაციის მოხდენისა ყოველად შეუძლებელია გავაუქმოთო იმპარატორმა იქ სხვათა შორის მიაწერა: თუ შეეძლებელია მობილიზაციის შესახებ ბრძანების გაუქმება რაც არ შეფერება სინამდვილეს, (უკანასკნელი სიტყვები თვით ვილჰელმის მიერ არის ხაზ გასმული) მაშ მეფე სამი დღის განმავლობაში რათ სცდილობდა საქმეში ჩემს ჩარევას, როდესაც მობილიზაციის შესახებ ბრძანების გამოქვეყნებაზე არაფერს არ ამბობდა. ეს ნათლად გვაჩვენებს მას, რომ ბრძანება მობილიზაციის შესახებ მეფეს ადარ მოეწონა და გაღვიძებულ სინდისს დასამშვიდებლად მან გადადგა რამდენიმე ფორმალური ნაბიჯი. თუმცა თვითონ კარგად გრძნობდა მას, რომ ეს ნაბიჯები უშედეგო იყო, რადგანაც მეფე თავის თავს იმდენად ძლიერად ვერ გრძნობდა, რომ მობილიზაციის შესახებ გამოცემული ბრძანება გაეუქმებია, (სიტყვა „გაეუქმებია“ ხაზგასმულია)

ქვეის სიმჩატემა და სისუსტემ ქვეყანა ჩაითრია უსაშინელეს ომში, რომელმაც ბოლოს და ბოლოს გერმანია დაღუპა. მარყუჯი უეცრად მოეკირა ჩვენს კისერს. გესლიანად მოკინარი ინგლისმა ბრწყინვალედ გაიმარჯვა ძოხერხებულად გატარებულ საქვეყნო პოლიტიკით (უკანასკნელი სიტყვები ხაზგასმულია), რომლის წინაშე ჩვენ უძლურნი გამოვჩნდით. ინგლისმა ჩვენ იზოლიაცია გვიყო. (ხაზგასმულია) და ავსტრიასთან მეგობრობისათვის ეკონომიურად და პოლიტიკურად ჩვენს დასახრჩობ ბაწარს აკეთებდა.

ბალშევიკური ცნობები.

მოსკოვი. დეკემბრის 13. სამხედრო ცნობა. ნარვის ჩრდილო აღმოსავლეთით 10 ვერსზე მდ. ლუგის რაიონში ჩვენი ჯარი მტრის გამაგრებულ პოზიციებზე შეტევას განაგრძობს. ნარვის სამხრეთ-დასავლეთით 20 ვერსზე მდ. ნარვის მარჯვენა ნაპირზე მტერი ჩვენს პოზიციებს ესვრის. პლოცკის რაიონში მტერი შეეცადა დასავლეთ დვინაზე გადმოსვლას და კოლონინის სამხრეთ აღმოსავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით რკინის გზაზე წინ წაწევას, მაგრამ ჩვენ ის შეკავ ვაგდეთ... (გამოტოვებულია) კიევის ჩრდილო-დასავლეთით 20 ვერსზე მარცხენა ნაპირის რაიონში მდ. ირპენზე ჩვენი ჯარი მხნედ იბრძვის. მარჯვენა ნაპირის რაიონში ჩვენ მტერი კიევის განაპირა მიდამოებიდან გამოვდევნეთ. წამოვიყვანეთ ტყვეები, ხელში ჩავიგდეთ 13 ზარბაზანი და სხვა მრავალი ქონება. კრემენჩუგის რაიონში ქალაქ ლუბოვიცის სამხრეთით 15 ვერსზე ჩვენ სოფლები დავიპირეთ. ჩვენმა ჯარმა აიღო ქალ. პოლტავა. ხარკოვის რაიონში მტერმა ჯარს თავი მოუყარა. ხარკოვსა და სად. მარიფოს შუა ცხარე ბრძოლის შემდეგ ჩვენ ისინი უკუ ვაგდეთ. ვოლოჩანსკის სამხრეთით ჩვენ ამ ქალაქიდან სამხრეთით 15 ვერსით წინ წავიწიეთ. მილეროვის მიმართულებით მდინარის კალიტვის ხაზზე ჩვენი შეტევა გრძელდება.

მოსკოვი. დეკ. 14. „პრავდა“ ანტანტის პოზიციის გამო ჩვენთან ზავის საკითხის შესახებ სწერს: „ისინი არაფერს არ კარგავენ, მაგრამ უკანასკნელი სიტყვა ჩვენ გვეკუთნის. თუ ჩვენი მტრები ეხლავე ვერ სწყვეტენ აღიარონ ეს, მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ძლიერ კარგად იციან, რომ საბჭოთა რუსეთან ზავს არ შეუძლია მისცეს მათ შინ სამოქალაქო ზავი.

მოხალისეთა ცნობები.

ტაგანროგი. დეკემბრის 11. სამხედრო ცნობა. ასტრახანის მიმართულებით მდგომარეობა უცვლელია. კამიშინის მიმართულებით გამაგრებულ პოზიციაზე სიწყნარეა. გენერალ ტოპორნოვის ცხენოსანმა რაზმმა 6—7 დეკემბერს წითლებს შეუტია.

ოსკოლის მიმართულებით ვალუიკის სამხრეთით მტერმა ურაზოვანხატნოე აიღო. ჩვენი ჯარი სამხრეთით თავს იყრის. ბრიანის მიმართულებით ზოლოჩევიდან და ბოგოიუბოვიდან ხარკოვზე შემოტეულ მტრის იერიშებს გმირი მოხალისეები აჩერებენ. პუტივლის მიმართულებით პოლტავის ჩრდილოეთით მზვერავებმა ბრბოები აღმოაჩინეს. ჩერნიგოვის მიმართულებით ბერდიჩევის სამხრეთით მტერმა ჩვენი ნაწილი შეავიწროვა. კამენეც პოდოლსკსა და ოდესის რაიონში სიწყნარეა.

ჩერნიგოვის მიმართულებით ჩვენ თავს დავესხით კრასნიარს. ხელში ჩავიგდეთ ტყვეისმფრქვეველები. წამოვიყვანეთ ტყვეები. ცარიცინის რაიონში მდგომარეობა არ შეცვლილა. ბალაშოვის, ლისკის და სტარო ოსკოლის მიმართულებით მდგომარეობა არ შეცვლილა კურსკის მიმართულებით და ხარკოვის რაიონში ბრძოლა გრძელდება. ბახმაჩის მიმართულებით პრილუკის რაიონში ჩვენმა ჯარმა მტრის 2 პოლკი დ ამარცხა და პირიატინოს ჩრდილო-დასავლეთით სოფლები ავიღეთ. კიევის რაიონში დნეპრის მარცხენა ნაპირზე წითლებმა ბროვარი აიღეს. მარჯვენა ნაპირზე ჩვენი ჯარი წითლებს სდევნის და უახლოვდება.... (გამოტოვებულია) დანარჩენ ფრონტზე არსებითი ცვლილებები არ მომხდარა. 13 დეკემ. ცარიცინის რაიონში მდინარის რაიონში..... (გამოტოვებულია). ლისკის და სტაროოსკოლის მიმართულებით მდგომარეობა არ შეცვლილა. 12 დეკ. კურსკის მიმართულებით ჩვენ უბრძოლველად ქალ ხარკოვი დავსტოვეთ.

ახალი ამბები

დღეს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია საქ. სოც. დემ. მ. პ. თფილისის კომიტეტის სხდომა.

ქალაქის მილიციის უფროსმა სულაქველიძემ მთავრობას თავმჯდომარის მიერ მისდამი საყვედურის გამო ცხადებიხ გამო სამსახურიდან გადადგომის განცხადება მიართვა ქალაქის მოურავს. სულაქველიძე არ სცნობს თავს პასუხისმგებლად პარადის დროს წესრიგის დაუცველობისთვის, რადგანაც ეს შტაბის მიერ მინდობილი ჰქონდა განსაკუთრებულ კომისიას ექიმ ციხაძის ხელმძღვანელობით. ქალაქის მოურავმა განსაკუთრებულის წერილით სთხოვა მილიციის უფროსს, რომ მან სამსახურიდან გადადგომაზე უარი სთქვას, რადგანაც მთავრობის ყოველმა მოხელემ და განსაკუთრებით უფროსებმა მთავრობის თავმჯდომარის შენიშვნა ან საყვედური უსიტყვოთ და სრული მორჩილებით უნდა მიიღოსო.

◆ ყაჩაღის შეპყრობა. დუშეთიდან გვარდიის მთავარ შტაბს ატყობინებენ, რომ იქ ადგილობრივ გვარდიელებს დაუტუსაღებიათ ცნობილი ყაჩაღი გრიქურა ესაიანცი.

◆ სახელმწიფო უნივერსიტეტის სანიტარო ინსტიტუტი (ტეხნიკური ქუჩა № 1 ტელეფონი 2—45). აუწყებს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთ და დაწესებულებებს, აგრეთვე მეზობელ რესპუბლიკებს, რომ მის მიერ დანიშადებულია დიდძალი ყვავილის ასაცრელი დეტრიტი და მსურველთ დაეთმობათ განუსაზღვრელი რიცხვი დეტრიტისა. აგრეთვე ინსტიტუტთან სწარმოებს ყვავილის აცრა ყოველდღე დილის 11 ს. ნაშუადღევის 1 საათამდე. ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი ამირეჯიბი.

◆ ხომეხთა ხაქ.-მოქ. ხაზოგაღოეების საბჭომ გადასწყვიტა თფილისში გახსნას ახალი ასანთის ქარხანა.

◆ იტალიაში გახატანად, გურიაში დიდძალ ხილეულობას ყიდულობენ. თხილი ბაზარზე 250—300 მ. ფასობს.

◆ გვარდიის დღეხასწაულის გამო გვარდიის მთავარ შტაბს საქართველოს ყველა კუთხიდან აუარებელი მისალოცი დეპეშები მოსდის გვარდიის დღესასწაულის გამო.

◆ უცხოეთში მიმავალ სტუდენტთა ხაყურადღებოდ. უცხოეთში წასვლის მომწყობი სტუდენტთა კომისია აცხადებს, რომ უცხოეთში მიმავალი სტუდენტები ხუთშაბათს, 10-დან 1 საათამდე უნდა გამოცხადდენ განათლების სამინისტროში. გამგზავრება მოხდება თფილისიდან პარასკევს. ყველა სტუდენტი ვალდებულია ხუთშაბათისათვის თფილისში იყვეს.

ხახელმწიფო თეატრი. დღეს შანდენოვას, კალანდაძე აგასოვას, ხორინას, სარაჯიშვილისა და ინაშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „ამბესალომ და ეთერი“; ოთხშაბათს 17 დეკემ. ცნობილ მსახიობ ქალის ნ. ჰ. კოშიცის მონაწილეობით მე-3 გასტროლი—დემონი. ხუთშაბათს 18 დეკ. ვ. დოლიძის ორგოპერა „ქეთო და კოტე“; პარასკევს, 19 დეკ.—„ფრა დიავოლო“.

◆ მეხუთე ქალთა გიმნაზიასთან არსებულ მშობელთა წრის საბჭო დღეს 16 ამ დეკემბერს ქართულ კლუბში მართავს წარმოდგენას ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ.

◆ ეშმაკის მათრახის მორიგი—მეოთხე ნომერი გამოვიდა დღეს.

◆ დაგკარგე 2 დეკემბერს ვაგზლის რაიონის სახალხო გვარდიის შტაბისგან მოცემული პირადობის მოწმობა (№ 524) 15 ოქტომბერს, რომელსაც ვაცხადებ გაუქმებულად. ვარ. ყიფიანი.

◆ ხახელმწიფო უნივერსიტეტში. დღეს სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ აუდიტორიაში ს.-დ. სტუდენტთა „ფილოსოფიურ ეკონომიურ წრეში“ დანიშნულია დისპუტი შემდეგ თემაზე: „მატერიალისტური მონიზმი სოციოლოგიაში“. მომხსენებელია ამხ. შ. დუდუჩავა. კონტრ-მომხსენებელი ამხანაგი ს. ტაბიძე. დისპუტში ყველა ამხანაგებს შეეძლებათ მონაწილეობის მიღება. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

◆ სახალხო უნივერსიტეტი. დღეს, საღ. 6 საათზე სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებებში დანიშნულია შემდეგი ლექციები: ცენტრალური განყოფილება (პლეხანოვის პროსპექტი № 123) 1) ეკ. ტურიაშვილისა „გეოგენეზი“ 2) ვ. ბარნოვი „ქართული მწერლობა“. 1განყოფ. (ნაძალადევი) 1) შალამბერიძე „ქიმია“ 2) ი. ნაკაშიძე „სახელოვან ადამიანთა ცხოვრება“. 3 განყ. (ჩუღურეთი) 1) ქ. რაჭველიშვილი „სოციალური ბრძოლა ძველ რომში“ 2) ეკ. ციცხლაძე „საუბარი ჯანმრთელობაზე“ 6 განყოფ. (ერთობის უბანი) 1) ირემაშვილი „ეკონომიური საკითხები“ 2) ი. ანთაძე „საქართველოს ისტორია“.

ქრონიკა

— დღეს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია ახალგაზრდა მარქსისტთა მეორე რაიონულ კოლექტივის სხდომა. ვსთხოვთ ამხანაგებს უეჭველათ დაესწრონ სხდომას.

— დღეს, დღის 4 ს. ვერის მუშათა კლუბში დანიშნულია მეოთხე რაიონის ს. ს. დ. მ. პ. ქალთა ორგანიზაციის წევრთა საზოგადო კრება. მეტად სასწრაფო კითხვების გამო, ყველა წევრთა დასწრება აუცილებელია.

— დღეს, საღამოს 6 საათზე ცენტრალური კომიტეტის ბინაზე დანიშნულია საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციების საკანტროლო კომისიის სხდომა.

ფიქრები ლიახვის პირად

12 დეკემბერი.

დაფიქრებული ვზივარ მყუდრო ხეობაში. ცივი დილაა. მთის ნიავი გვეთამაშება. დაღონებულია ლიახვის ხეობა, მდუმარებას მოუცავს ირგვლივ უდაბური ტყეები, ამაყურად თავს დაგვცქერიან კავკასიის თოვლით მოსილი მწვერვალები...

ლიახვი, გიჟი ლიახვი მიდუდუნებს და მიეშურება შუა გულ საქართველოსაკენ... ძას თან მიაქვს ჩვენი სალამი, ჩვენი მოკითხვა და წრფელი სიყვარული ჩვენს თავისუფლების სავანე თფილისისაკენ...

დღეს თფილისი სადღესასწაულოდ მორთული... თფილისი დღეს მრავალ სახეს ღებულობს... თფილისი დღეს ემზადება, რადგანაც თორმეტი დეკემბერია...

და ლიახვი მიეშურება იქით, საქართველოსკენ, თფილისისაკენ, რომ ამცნოს ჩვენი დაფიქრება, ჩვენი სიხარული, ჩვენი ზრახვები და მოგონებები...

არ გვქონდა საშუალება გასულ წელს თფილისი სადღესასწაულოთ აღფრთოვანებული, 12 დეკემბრის სანახაობით გაშუქებული გვენახა... და არც წელს...

და ორი წელი შესრულდა დღეს მას შემდეგ, რაც საქართველოს რესპუბლიკის ღირსეული შვილები ბრძოლაშია... ორი წლის თავზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მხედრობა გვარდიის და ჯარის სახით თავის გაგლილ მოქმედებას აფასებს, თავის ძალთა მობილიზაციას ახდენს და მომავალს ითვალისწინებს...

მძიმე იყო გაგლილის ყოველივე საბედისწერო მომენტი, მაგრამ ძვირფასი იყო მრისხანე ჟამის აცდენა და თავგანწირულთა ბრძოლის საისტორიო ფურცელი.

და რომელ ისტორიას შეუძლიან აღნიშნოს მებრძოლთა კეთილშობილური თავგანწირვა? რომელი მემატიანე გადასცემს შთამომავლობას ჩვენი გმირების საისტორიო თავგანწირვას, გატაცებას, მძიმე ტანჯვას?..

პატარა ხალხის შეიარაღებულმა ორგანიზაციამ თავისი გარკვეული წერტილი დასვა ისტორიის ფურცელზე..

დღეს იგონებენ გუშინდელ დღეს და მას, ვინც გამოსჭედა დღევანდელი ისტორია...

ვინ იყო იგი?

იგი ხელებ დაკოჟრილი, მშრომელი, მუშა, შრომის მოყვარე, თავისუფლებისათვის მებრძოლი, თავისი ქვეყნის მოსარჩლე, იარაღით ხელში, დაფიქრებული სახით ნოემბრის ცივ ღამეს მიეშურებოდა არსენალისაკენ... და მან იცოდა ბრძოლა მსხვერპლს მოითხოვდა, მაგრამ იგი მაინც მიდიოდა, რადგანაც ამას მოითხოვდა თავისუფლების და თავისი ქვეყნის ინტერესები...

ეს მოხდა იმ ღამეს... ის ღამე იყო საშინელი მახვილი წინააღმდეგ მიმართული ანარქიის. სამოქალაქო ომისა...

იმ ღამეს ჩაისახა თავგანწირვის, ბრძოლის, მტკიცე ნების განჩინება, მუშათა კლასის მხედრული სიტყვა და მედგარი ხმა.

ეს იყო დასაწყისი... ეს იყო ჩასახვა ჩვენი გვარდიისა...

და ეს იცის საქართველოს ხალხმა. და ეს უნდა იცოდეს მომავალმა თაობამ, ისტორიამ...

ჩვენს ქვეყანას დიდი რევოლიუციის პირველ დღეებიდან განსაცდელი მოელოდა. ჩვენს მხარეში დაგროვილმა ჯარებმა ქვეყნის გადგურება განიზრახა. ჩრდილოეთის გესლიანმა ყულაბნმა ჯარშიაც გაირბინა და თავისუფლების ოაზისს თფილისს ჩანთქმას უქადდა.

და მაშინ იგი, დეკემბრის ცივს ღამეებში, თფილისს იცავდა, თავისუფლებას სდარაჯობდა და იარაღით ხელში მტრის ტყვიას გულს უშვერდა...

და ვინ იყო იგი?!

იგი თფილისელი გვარდიელი იყო, იგი ჯავშნიან მატარებლის მებრძოლ რაზმის წევრი...

და მან იცოდა, რომ თავისი სიცოცხლის უარყოფით იცავდა სხვის სიცოცხლეს, თავის ქვეყნის მომავალს, ხალხის ფიზიკურ არსებობას.

და მან დასწერა ისტორიის მეორე ძვირფასი ფურცელი და ეს არ უნდა დაივიწყოს მომავალმა..

სანაინში საფრთხე ჩაისახა ჩვენი ქვეყნის .. იქ გაინასკვა ბორჩალოს ნერვებიანი სიძნელით მოცული, ბუნდოვანი მდგომარეობა და იქ იგი დაეცა გულ განგმირული, განწირული, სანაინის დაფიქრებულ ხეობაში, ვალ-მოხდილი... იგი გამოეთხოვა საყვარელ ქვეყანას, თავის საქმიანობას და დაასრულა თავის ცხოვრების უცნაური ჟამი...

ვინ იყო იგი?

იგი მშრომელი მუშა, სოფლელი იყო, მაგრამ იარაღით ხელში ბრძოლაში დაეცა. ისწრაფოდა მომავლისკენ, რომელმაც იგი მსხვერპლათ მოითხოვა და შეეწირა კიდეც.

მან იხსნა სხვები, თავი კი დაღუპა და დასტოვა თავისი ოჯახი უპატრონოთ.

ეს იცის ხალხმა, მაგრამ ყველაფერი არა, მოვა დრო და მადლიერი მომავალი განცვიფრდება ღირსეულ შვილთა თავგანწირვით.

ჩვენს ქვეყანას შავმა ყორანმა დასჩხავლა თავს, საბედისწერო განკითხვის ზარმა დაურეკა, ჩრდილოეთიდან ანარქიის ნისლი და მახლობელ აღმოსავლეთიდან ბნელი ღრუბლები გადაეფარა. შიგნით ღალატმი, გარეთ გაცემამ, „ბალშევიკურმა“ წარღვნამ და ოსმალთა შემოსევამ ქვეყანა განმარტოვებული ჩიხში მოამწყვდია, ხალხი განსაცდელში ჩააგდო.

ეს იყო უდიდესი განცდის, მძიმე წუთების უკანასკნელი განკითხვა. სამშობლოს, თავისუფლებას, რევოლიუციას, ერს, ხალხს არავინ იცოდა, რა ელოდა. სამშობლოს მთები ღალონებულიყო, მშობლიური მინდორ ველები ალარ ბიბინებდენ, მხოლოდ მოწყენილი მოსთქვამდენ, მთა ბარს მოუთხრობდენ ჩვენი ქვეყნის გასაჭირს ცქრიალა, გიჟი მდინარეები.

და მაშინ იგი უიმედობას არ მისცემია. არ უტირია, დაფიქრებული, დინჯათ, უსიტყვოთ, მშიერი მიეშურებოდა საისტორიო ვალის მოსახდელათ.

იგი თოფით ხელში სამცხე საათაბაგოს სამაგრეში, გარეთ ფრიცხვ უთვალავ მტრისაგან ალყა შემორტყმული იბრძოდა და იქვე გაათავა თავისი სიცოცხლის უკანასკნელი წუთი.

ვინ იყო იგი ახალგაზრდა? უბრალო ჯარისკაცი, აცდენილი იმ დროინდელ შხამს. უბრალო, მაგრამ გმირი, რომელიც დაიკარგა და დღესაც არ იციან ძაძით მოსილ მშობლებმა სად განისვენებს...

მან ვალი მოიხადა სამშობლოს წინაშე და ეს უნდა იცოდეს შთამამავლობამ..

იგი ... ბრძოლის მოგბის ... ებში—იჯდა. გაბმული ბილიკებში მტერს სროლა ... და ... ბაში ... ტრონოთ, ნადირთა საწოწკნათ...

და ვინ იყო იგი მოხუცი? იგი იყო ჯავახელი მებრძოლი და ბრძოლაში გაათავა თავისი უცნაური ცხოვრების განაჩენი.

და ეს უნდა იცოდეს იმან, ვინც ასცდა საშინელ განსაცდელს...

შემოსეულ მტერს საქართველოს კარებთან აწყურის ხეობაში იგი ქალარაქედ-მოუხრელათ ებრძოდა და უკან არ დაუხევია. მან შიში არ იცოდა და იქვე ჩაიკეცა...

ვინ იყო იგი?

იგი გვარდიელი მხედარი იყო და თავისი სიცოცხლე მის ქვეყანას ანაცვალა...

აქარის წყალთან, საალყო ფორტებთან, მან უკან დახევას, ბრძოლის ველიდან ლაჩრულად გაქცევას სიკვდილი აირჩია, იქვე გაითხარა საფლავი, უდაბურ მხარეში ობლათ მიისვენა და მით მაგალითი უჩვენა სხვებს და ასწავლა ყველას თუ როგორ უნდა ქვეყნისათვის თავგანწირვა...

და ვინ იყვენ ისინი?...

ისინი ახალგაზრდა, სამშობლოს დამცველი ოფიცრები იყვენ, რომლებმაც სიცოცხლის ძვირფასი ამოება უარყვეს და მოკვდენ ბრძოლის ველზე... მათ გაიარეს ეკლიანი გზა და სამშობლოს საკურთხეველზე განუტევეს სული...

ეს ძვირფასი თავგანწირვა ისტორიამ იცის...

ჩოლოკის პირად დაეცა უსულოდ, გულხელ დაკრეფილი ფრიცხვი მტრის წინაშე, მაგრამ ისტორიას დაუტოვა საარაკო ეპიზოდი, გმირული მოთხრობა თავისი სიკვდილის მოსაგონებლად...

ვაშსაარის ტყეში დაიმარხა უგზოუკვლოდ, მხოლოდ მტერს გადასცა და აცნობა თავისი მკაცრი პასუხი და ქვეყნის მყუდროებას შეეწირა...

ისინი თანამედროვე გმირები იყვენ, ახალგაზრდა ოფიცრები, მოხუცი გვარდიელები, ჯალარა მეომრები, ჭაბუკი ჯავშნოსანთა ჯარისკაცები...

მათ სიკვდილს სიკვდილით გასცეს პასუხი...

და ეგ ძვირფასი ფურცელი ისტორიისა უნდა შეინახოს მომავალმა თაობამ...

იმ დროს, როცა ქვეყანას განცდელოდა, როცა ისინი მტერთან ბრძოლაში იღუპებოდენ, მაშინ მოღალატემ ცხინვალის დამაღონებელი ისტორია გათალხა. შიგნიდან თავს დაგვეცა, მაშინ, იგი არ დაბნეულა, იქ იდგა და ყელ გამოჭრილი გამოეთხოვა მშობლიურ მხარეს.

იგი მებრძოლი ჩვენ მას შემდეგ ალარ გვინახავს, მაგრამ მისი საქმე ჩვენთან დარჩა.

მოღალატეს არ შერცხვენია და იმ დროს, როცა ხალხის შვილები, მოწინავე ძალები შემოსეულ ბარბაროსებთან ომში იყვენ ჩაბმულნი, მაშინ ზურგიდან შემოგვესია, ზურგიდან ცეცხლი გაგვიჩინა და ჩვენი გასრესა მოინდომა.

და მაშინ იგი იქ იყო. იბრძოდა შავი ზღვის პირათ და ფონის მიდამოში დაამთავრა ცხოვრების უკანასკნელი დღეები.

და ვინ იყვენ ისინი?

ისინი ახალგაზრდა გვარდიელები და ოფიცრები იყვენ. .

მათ პასუხი გასცეს მოღალატეებს და ქვეყანა ზურგიდან გაწმინდეს...

და ისინი სამ ფრონტზე იბრძოდენ მაშინ...

იქ, სადაც ბრძოლა იწყებოდა ისინი ელვის სისწრაფით გამოჩდებოდენ. ასეთი ამბავი იშვიათია ისტორიაში...

ხანმოკლე დროში, საშინელ დემორალიზაციის, ანარქიის პირობებში გამოიჩარხა საქართველოს ხალხის რჩეულ შვილთა რაინდული სული და იგი იქცა ქვეყნის თავდები.

მცირე რიცხოვანი იყო, მაგრამ ძლიერი და ამტანი...

ნორჩი ქვეყანა ეპირებოდა ფრთების გადაშლას და საქართველოს შინაურმა და გარეშე მტრებმა სამოქალაქო ომის ცეცხლში გახვიეს დუშეთი, სუხუმი, ლეჩხუმი, საჩაერე, სამეგრელო და განიზრახეს თავისუფლების კუნძული ოკეანეში გადარჩენილი, განთავისუფლებული პატარა ქვეყანა დაეღუპნათ და სისხლის მორევში გადაესროლნათ.

ეს იყო ტრაღედიის მესამე დასაწყისი...

და მაშინ გაითხარა საფლავები. სისხლით შეიღება ჩვენი კუთხეები...

პირველათ დუშეთში აწამეს თავისუფლებისათვის მებრძოლნი, იქ ამართეს წამების ჯვარი.

დარიალის ლამაზ და თვალწარმტაც ხეობათა წიაღში დიეცენ თავგანწირულნი.

და მაშინ ისინი ჩვეულებრივი დაფიქრებით შეებრძოლნენ ანარქიას.

სოხუმის მიდამოები გახდენ მოწამენი ჩვენი ამხანაგების დაღუპვისა.

ლეჩხუმის სალი კლდეები დაისწრენ იმათ ბრძოლას.

ყვირილის ხეობამ და მდინარე ყვირილამ გაიზიარა საისტორი გატაცება.

და ვინ იყო იგი, რომელიც დაიმარხა დუშეთის ცივს სამარეში?

გვარდიელი...

და ვინ იყო იგი, რომელიც დაეცა ყვირილის ხეობაში გულ დაფლეთილი?. ახალგაზრდა მოსწავლე, სტუდენტი ჯარისკაცი...

და ვინ იყო იგი, რომელიც წამებით დაახვრჩვეს?..

მაღალი წრიდან მოსული ხალხის მეგობარი ახალგაზრდა აფიცერი...

და მათ მოიხადეს თავიანთი ისტორიული ვაღი და ეს ძვირფასი ფურცელი ისტორიას გადაეცა...

ქვეყანა და თავისუფლება დაიხსნეს..

და ომი დაიწყო... მშვიდობიანმა მოლაპარაკებამ გზა დაუთმო მახვილს და ერევანმა მაღალათ თფილისის დატყვევება მოინდომა და მაშინ ისინი სამშობლოს სადარაჯოთ ბორჩალოს ყინულიან მიდამოებში გაეშურენ..

იქ სანაინის ხეობაში დაეცა რჩეული შვილები..

ვინ იყვენ ისინი?..

საქართველოს ახალგაზრდა ჯარისკაცები, აფიცრები და მხედრები...

მოზღვავებულ მტერს, დაგეთხაჩენთან თფილისის პროლეტარიატის ავნაგარდი შეეგება..

იქ დაეცა თფილისის რჩეული ამხანაგები.. იქ გაითხარა ისტორიული საფლავი, იქ დაიწერა ახალი ფურცელი ჩვენი მოქმედებისა ისტორიისათვის...

ვინ იყვენ ისინი?..

ისინი მუშები იყვენ...

ისინი „მსხვერპლათ დაეცენ მწვავე ბრძოლაში“.

ჩრდილოეთის რეაქციამ, იმპერიალისტურმა რუსეთმა სულის ამოთქმა, დასვენება აღარ აცალა საქართველოს.. და შემოუტია... თავს დაესხა თავისუფალ ქვეყანას.

ისინი მოვალეობის მოსახდელათ იქით გაექანენ.

მათ არც დაღლა ეტყობოდათ, არც მეჭუნვარება, არც დაღონება.

და ისინი იქ დაუხვდენ თავზედ მტერს და სიკვდილს, სიკვდილით დაუპირდაპირდენ...

თავგანწირულათ, ვაჟკაცურათ დაეცენ დენიკინის რეაქციას და მტერს მტრულათ შეეგებენ.

ვ ნ იყვენ ისინი?..

ისინი ცხენოსანი დივიზიონის ახალგაზრდა აფიცრები და გვარდიელები იყვენ.

ისინი სამშობლოს თავისუფლების მოდარაჯენი, და ეს ძვ რფასი ისტორიის ფურცელიც უკვდავი იქნება მომავლისათვის.

იქ მდინარეში, მდინარის პირათ, გაგრის ნესტიან მიდამოში, დენიკინის რუსეთთან ბრძოლაში დაეცა ჩვენი ქვეყნის შვილები და ეს უნდა იცოდეს მომავალმა თაობამ...

დღეს 12 დეკემბერია. იქ თფილისი, საქართველო დღესასწაულობს ისტორიული დღის აღნიშვნას. მძიმე წერტილს სვამს სახვალიო ამოცანის წინაშე და ეუბნება კაცობრიობას: პატარა ქვეყანა, თავისი პატარა ძალებით ჰქმნის დიად ისტორიულ მოძრაობას...

და დღეს...

დღეს იქ, დარიალის ხეობაში სდარაჯობს საქართველოს თავისი შვილი...

იგი ჯარის კაცია და თავის მოვალეობას იხდის.

დღეს იქ, გაგრაში ტყვია ყუმბარებს მისჩერებია და მზათაა თავისი თავისუფალ ქვეყნისათვის თავისივე წარმართული სიცოცხლის მოთხრობა დაასრულოს...

იგი გვარდიელი, აფიცერი და ჯარის კაცია და ისტორიულ განაჩენს ასრულებს...

და დღეს მან შემოიარა 160 ვერსი გზა, ყინულში, ულრან მხარეში, მთებში, სანახევროთ მოუწყობელი, მოწყვეტილი ცენტრს, თავის საქმეს აკეთებს ქვეყნის საკეთილდღეოთ, ემსახურება დიად მომავალს. .

და ვინ არის იგი?

იგი გვარდიელია, მხედარია, და მან იცის ჯერ ბრძოლა არ დამთავრებულა, ჯერ არ თქმულა უკანასკნელი სიტყვა..

მე მინახავს გვარდიელი, ჯარის კაცი, აფიცერი...

მინახავს ბრძოლაში, ბრძოლის ველზე და ყველანი ერთ საქმეს აკეთებდენ...

და ეს საქმე ჩვენი მომავალია...

და დღეს 12 დეკემბერია...

მე მაგონდება დღეს ის თავგანწირული ამხანაგები, რომლებიც ბრძოლაში დაიღუპენ... ძლიერი გამარჯვების ეპიზოდები დაგვიტოვეს, თავისი ბრწყინვალე ისტორია დასწერეს და დღეს განისვენებენ, ველარ ესწრებიან მშობლიურ ქვეყანაში თავისუფლების დღესასწაულს...

მათ იცოდენ, რომ ბრძოლა შექმნის გამარჯვებას...

მათ იცოდენ—მებრძოლი არ მარცხდება და სიკვდილით შექმნეს სიცოცხლე ქვეყნის და მათი ანდერძი მათ საფლავზე აწერია: დაწყებული ბრძოლა დაამთავრეთ!..

და დღეს... დღეს 12 დეკემბერია... ორი წლის წინეთ დაიწყო...

მას შემდეგ არ დაუსვენია ჩვენ ქვეყანას და დღეს შეიარაღებულ ძალთა განწყობილების დღესასწაულია..

და ვინც განიზრახავს წინ გადადგომას მის ნებას და ზრახვას, უნდა იცოდეს: სისხლით, ცრემლებით, ძაძებით, გმირული გატაცებით, ისტორიულ ქარტეხილში განასკვნილი საქართველოს ხალხის თავისუფლება დაზღვეულია და მის წინააღმდეგ მომართული მახვილი განწირულია...

ამას ამტკიცებს ურიცხვი მსხვერპლი, დაუღალავი ბრძოლა და 12 დეკემბერი ..

ლიახვის ხეობა. ანანია.

უცხოეთი

რუსეთი.

ნიკოლოზის მკვლელთა გასამართლება. 17 სექტემბერს პერმში კომუნისტების რევოლიუციონურმა ტრიბუნალმა გაასამართლა ნიკოლოზ მეორის მკვლელები. მოსკოვის გაზ. „პრავდა“-ს გადმოცემით მეფის მოკვლის დროს დამოცულ იქნა სულ 11 კაცი. პასუხის გებაში 28 კაცი იყო მიცემული, მათ შორის 3 წევრი ეკატერინბურგის საბჭოისა—გრუზინოვი, იხონტოვი და მილიუტინი, ორი ქალი—აპრაქსინა და მირონოვა, დანარჩენი—დამცველ რაზმის წევრები. მთავარ დამნაშავეთ ცნობილი იქნა იახონტოვი, რომელმაც განაცხადა, რომ მან მოაწყო მკვლელობა იმ მიზნით, რომ ძირს დაეცა საბჭოთა მთავრობის პრესტიჟი მემარცხენე ს.-რევოლიუციონერთა სასარგებლოთ. მან მოიგონა მეფის უკანასკნელი სიტყვები: „ჩემ. სიკვდილისთვ ს ჩემი ხალხი და სწყვლის ბალშევიკებს“.ო. მეფის მოკვლაში დამნაშავეთ მხოლოდ იახონტოვი იცვნეს, რომელსაც დახვრეტა მიუსაჯეს. დახვრეტა მიუსაჯეს აგრეთვე გრუზინოვს, მალიუტინს, აპრაქსინასა და მირონოვას ქალებს და 9 წითელ არმიელს, რომლებსაც მოკლულების გაძარცვა დააბრალეს. გადაწყვეტილება მეორე დღესვე სისრულეში იქნა მოყვანილი.

კომიხართა თანამდებობის გაუქმება. ტროცკის ბრძანებით ჯარში სასურსათო განყოფილებებ დან დაწყებული ყველა სამმართველოებში და კანცელარიებში თანდათან უქმდება კომისართა თანამდებობები. მოსკოვის გაზ. „იზვესტია“ ამას იმით ხსნის, რომ ქვეყანამ უკვე ბევრი იგემა კოლეგიალური რეჟიმის ბატონობით. ჯარში კომისრები მხოლოდ იმ შემთხვევაში დარჩებიან, თუ ისინი შეძლებენ შეასრულონ ჯარის უფროსების თანამდებობები.

მაინც არ მიდიან! სამხრეთ რუსეთის კონფერენციის (რომელსაც უნდა გადაეწყვეტა საკითხი საერთო მთავრობის შექმნის შესახებ) მუშაობის ერთ-ერთ დამბრკოლებელ მიზეზათ ის ითვლებოდა, რომ ყუბანის რადის ძველი შემადგენლობა ეგვიანებდა თავის დელეგაციის გაგზავნას. პოლიტიკური წრეები გაკვირვებას გამოსთქვამენ იმ მოვლენის შესახებ, რომ რადის ახალმა შემადგენლობამ არა თუ დელეგაცია არ გამოგზავნა დანიშნულ ვადაზე, ცნობებიც კი არავითარი არ მოუწოდებია. კონფერენცია მუშაობს მხოლოდ დონისა და თერგის დელეგაციების შემადგენლობით.

ხაცარი ბრძანება. ტაგანროგის ქალაქის უფროსმა 3 დეკემბერს ბრძანება გასცა, რომლის ძალითაც წლის განმავლობაში 5, 6 და 7 დეკემბერს მცხოვრებთ ეკრძალებათ ქუჩებში გამოსვლა. ქუჩაში გამოსვლა შეეძლოთ მხოლოდ დაწე ებულებათა ზოგიერთ მოხელეებს, რომლებსაც თან უნდა ჰქონოდათ დაწესებულებათა უფროსების მიერ მიცემული ქუჩაში გამოსვლის ნებართვა, ბრძანების ბოლოში აღნიშნულია, რომ ბრძანებას არავითარი კავშირი არა აქვს ფრონტის, გინდ ზურგის მდგომარეობასთან.

კომუნისტების წინააღმდეგ. „დობროვოლია“ ს იუსტიციის სამმართველომ შეიმუშავა კანონპროექტი კომუნისტების სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებლობის შესახებ. კანონპროექტი დანაშაულობათ სთვლის კომუნისტურ პარტიის წევრობას, მიუხედავათ იმისა, იღებდა ესა თუ ის კომუნისტი მონაწილეობას მთავრობის წინააღმდეგ მოძრაობაში, თუ არა. მმართველ წრეებში იმ აზრსაც გამოსთქვამენ, რომ ყოფილ მეფის კანონით სოციალისტურ პარტიის მხოლოდ წევრობა არ ითვლებოდა დანაშაულათ, თუ სოციალისტს რაიმე უკანონო მოქმედება არ ედებოდა ბრალათ. ამით აიხსნებოდა, სხვათა შორის, ის გარემოებაც, რომ სახელმწიფო სათათბიროში სოციალისტური პარტიები დაშვებული იყვენ კანონით. საგანგებო სათათბიროს უკვე დაამტკიცა აღნიშნული კანონ პროექტი.

ამერიკა.

ლენინი და ამბოხება ამერიკაში. საბჭოთა რუსეთის ელჩმა ვაშინგტონში—მარტენსმა გამომძიებელ კომისიის დაკითხვის დროს განაცხადა, რომ ლენინი ხელს უწყობს ბალშევიკების გამოსვლებს ამერიკაში, რასაც მიზნათ აქვს დასახული კაპიტალიზმის დამარცხება მთელ ქვეყანაში. მარტენსი განდევნილი იქნება ამერიკიდან.

იტალია

მემარცხენეთა ბლოკი. იტალიის ახალ პალატაში სდგება მემარცხენე პარტიათა ახალი ბლოკი, რომელშიაც შევლენ: 47 რადიკალი, 22 სოციალისტი და 15 რეპუბლიკანელი. ლიდერათ ბისოლატი იქნება.

ბრაზილია.

ბალშევიკების განდევნა. რიო დეჟანეიროდან იტყობინებიან, რომ ბრაზილიის მთავრობამ მიიღო ზომები მაქსიმალისტურ იდეების მქადაგებელთა სახელმწიფოდან განსადევნათ. ქ. სანტოსში აღმოჩენილ იქნა დიდძალი იარაღი და ასაფეთქებელი მასალები.

ადერბეიჯანი

ნავთის წარმოება. 1919 წლის ნოემბერში გადამუშავებულა 18 ნახ. მილიონ ფუთამდე ნავთი.

სამრეწველო გადახახადის გადიდება. ფინანსთა სამინისტროს მინისტრთა საბჭოში კანონ-პროექტი შეაგვს რომლის თანახმათაც სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებებზე არსებული გადასახადი გადიდებულ უნდა იქნეს მათი შემოსავლის 15 პროცენტამდე 1920 წლისთვის სამინისტროს განზრახვა აქვს გაადიდოს ძირითადი სამრეწველო გადასახადი 10 ჯერ ომამდე არსებულ გადასახადთან შედარებით; ამასთანავე გადიდებული იქნება საცხოვრებელი მინიმუმი 5 დან 20 ათას მანეთამდე წლიურათ და შეიცვლება შემოსავლის კვალობაზე გადასახადის ცხრილიც.

დაღესტანში

მოხალისეთა ხაომარი მოქმედება დაღესტანის ფრონტზე უკანასკნელი ცნობების თანახმად თითქმის სრულიათ შესწყდა. დისციპლინით შეკავშირებულმა მთიელთა ნაწილებმა ამ დღეებში იერიში მიიტანეს რამდენიმე სოფლებზე, სადაც მოხალისენი იყვენ დაბანაკებულნი; უკანასკნელნი იძულებულნი შეიქნენ სოფლები დაეტოვებინათ. აჯანყებულებისათვის სხვა და სხვა საგნების მიწოდების საქმე ამ ბოლო ხანებში ბევრათ გაუმჯობესდა.

იუსტიციის სამინისტროში

მომრიგებელ მოსამართლეთა მიერ ხახელმწიფო ენის ხმარებისათვის. იუსტიციის სამინისტრომ განუმარტა თფილისის მაზრის სამომრიგებლო ყრილობის თავმჯდომარეს, რომ კანონის ძალით ყველა მომრიგებელი მოსამართლენი უკლებლივ და აუცილებლივ სახელმწიფო ენაზე უნდა აწარმოებდენ საქმეებს. ამასთანავე, რადგან სამინისტროს ცნობით, ქ. თფილისის ზოგიერთი მოსამართლენი საქმეს არა სახელმწიფო ენაზე აწარმოებენ, სამინისტრომ შესაფერი შეკითხვა გაუგზავნა ქალაქ თფილისის სამომრიგებლო ყრილობის თავმჯდომარეს.

ხაშურის მომრიგებელ მოხამართლის ვადადგომა. იუსტიციის სამინისტროს მიერ ქ. თფილისში პირად განმარტების წარმოსადგენად დაბარებულმა ხაშურის მომრიგებელმა მოსამართლემ სხირტლადემ, რომელსაც ბრალად ედებოდა დაუდევრობა, განმარტების შემდეგ წარუდგინა სამინისტროს თხოვნა სამსახურიდან განთავისუფლებისა.

მეფის ბიუსტის მოხსნა. იუსტიციის სამინისტრომ განკარგულება გასცა რათა ტფილისის სასამართლო უწყების შენობაში მოთავსებული ბიუსტი იმპერატორი ალექსანდრე მეორისა მოხსნილ და-გატანილ იქნას მუზეუმში.

„ზერცალოების“ გატანა სასამართლოს დარბაზიდან. იუსტიციის სამინისტროს განკარგულებით, ყველა სასამართლოს დარბაზიდან გატანილ უნდა იქნას ძველის ფორმის „ზერცალოები“.

სასამართლოს გარეგანი გაერთვნებისათვის. იუსტიციის სამინისტრომ წინადადება გასცა ყველა სასამართლო დაწესებულებებისადმი, რათა 1920 წ. იანვრის პირველამდე ძველი წარწერები ყველგან გადაკეთებული იქმნას სახელმწიფო ენაზე, აგრეთვე შეძენილ იქმნას სათანადო დაფა წარწერები („ვივესკები.“)

დანიშვნები. სოხუმის საგანგებო სასამართლოს პროკურორის ამხანაგებად დანიშნენ შულავერის უბნის გამომძიებელი მელიონიკი და ყოფილი წევრი თფილისის რევოლიუციონური ტრიბუნალისა კარჩევსკი.

ბრძოლა „ბალკონის ადვოკატებთან“. რადგან იუსტიციის სამინისტროს მიღებულ ცნობებით, ეგრეედ წოდებულ „ბალკონის ადვოკატების“ საქმიანობა ფრიად გახშირებულა თფილისის სამომრიგებლო უბნებში, სამინისტრომ განკარგულება გასცა სათანადო გამოძიების მოსახდენად და იმ პირთა ვინაობის გამოსარკვევად, ვისაც კანონით უფლება არა აქვს სასამართლოში ვექილობისა და ამ უფლებით კი სარგებლობს. კვლევა ძიება დაევალა სამინისტროს მოხელეს ვ. მ. მამულაიშვილს.

რუსეთის „ვოლიკოდერ-ქავნიკეგი“

პარიზის რუსული დელეგაციის მემორანდუმზე, რომელიც ეხება ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულებას, ხელი უწერიათ ლვოვს, საზონოვს, ჩაიკოვსკისა და მაკლაკოვს.

ჩვენ აქ შევეხებით მემორანდუმის სამ მუხლს: 1) სრუტეების, 2) კონსტანტინოპოლს და 3) სომხეთის საკითხს.

ამ დოკუმენტში აღძრული კითხვები ახალი არ არის. სრუტეები რუსების ყურადღებას იპყრობდა ჯერ კიდევ უძველეს დროიდან; სპეციალური დასაბუთება რუსეთისათვის სრუტეების გადაცემისაუსაჭიროებისა „მოგვცა“ ბ. მილიუკოვმა თავის „კონსტანტინოპოლი და სრუტეებ“-ში, რომელიც გამოქვეყნებულ იქნა გასულ წელს. მემორანდუმის ავტორებმა უფრო მოკრცხვად წამოაყენეს მოთხოვნილებანი, როგორც ეს შეშვენის ს. რ. ჩაიკოვსკის, მაგრამ მოთხოვნილებებში მოსჩანს მპყრობელობითი ტენდენციები, რომლითაც ხასიათდება მეფის ძველი კარის კაცი საზონოვი: „პირველ ხარისხოვანი მნიშვნელობა სრუტეებისა რუსულ ვაჭრობის ინტერესების თვალთსაზრისით თავისთავად ცხადი და ნათელია... რუსეთის პურის დიდი ნაწილი (74 პროც.) აგრეთვე ნავთის (82 პროც.), შაი ქვის (98 პროც.) და რკინის მადნისა (61 პროც.) გადის საზღვარგარეთ შავი ზღვის პორტებით. არა ანექსიონისტური მოსაზრებები იპყრობს რუსების ყურადღებას სრუტეები, არამედ ის აუცილებლობა, რომელიც მოითხოვს რუსეთის სახელმწიფოს არსებობა და მისი განვითარე ა. 1915 წ. მოკავშირეებმა უარყვეს რა თავისი ძველი პოლიტიკა, აღიარეს რუსეთის სასიცოცხლო ინტერესებათ სრუტეები და კონსტანტინოპოლი“. რასაკვირველია არავისათვის საიდუმლოებას არ შეადგენს ის თუ ვისი სახელით გამოდიან ეს ვაჟბატონები პარიზში. დენიკინისთვის არაფერს წარმოადგენს რუ ეთის რევოლიუცია, დროებითი მთავრობა, საბჭოთა რუ ეთი, რომელიც დენიკინის თქმით შესდგება მხოლოდ ჩინელებისაგან, ლატიშებისაგან და ებრაელებისაგან. კაცობრიობის პროცესში მომხდარი ცვლილებანი, თუმცა ამის შესახებ ლოიდ-ჯორჯმა სთქვა, რომ „კაცობრიობა მოსწყდა დუზედგან“. და ამას წინად ბრიანი აფრთხილებდა საფრანგეთის მთავრობას და მოუწოდებდა ევროპის მდგომარეობას ანგარიში გაუწიეთო. ყველა ეს გენ დენიკინისთვის ცარიელი სიტყვა იყო. მაგალითისათვის შორს წასვლა არ მოგვიხდება: სენატორ ნოსოვიჩის განმარტებით დონის ოლქში წინანდებურად არსებობენ წოდებები, პროვინციები ძველებურათ გენერლების სათარეშო ასპარეზათ არის შექმნილი. უცხოელები ყველა ბალშევიკები არიან, წესრიგის დასამყარებლად იქ ხშირათ გზავნიან „რუს“ გენერლებს — შილლინგს, ვრანგელს, გეშპელს და სხ.

გასაკვირი არ არის ამის შემდეგ, რომ რუსეთისათვის სრუტეების გადაცემის საჭიროებას საფუძვლად უდებენ ნავთისა და შაი ქვის გატანას რუსეთიდან ეა რომ ეს სიმდიდრე ეკუთვნის რუსეთს და საქართველო და ადერბეიჯანი არც კი არსებობენ ამ ქვეყნად. გენ. დენიკინის ბრძანებიდგან, ქართველების მიერ დასახლებულ შავი ზღვის პორტების ბლოკადის შესახებ ჩვენ ვტყობილმართ, რომ ქართველები მოსულან მადაგასკარის კუნძულიდგან და დაუკავებიათ პორტები: ფოთი, სუხუმი, გაგრა და სხვ. მემორანდუმის ავტორები ამბობენ, რომ მათ არ უნდათ სხვისი ტერიტორია და არც ანექსიონისტული მოსაზრებები ამოქმედებთ მათ. მაგრამ ისინი ითხოვენ. რომ მათ ნება მიეცეთ ბიზანტონონ კონსტანტინოპოლში. იმის შესახებ კი,—თუ როგორ ძველი ოფიციალური რუსეთი ბატონობდა პოლონეთში, საქართველოში, სომხეთში და სხ. და—როგორ ახალი დენიკინური რუსეთი ბატონობს მთიელებზე და ყუბანელებზე—ისინი გაჩუმებული არიან. მაგრამ ყველა ეს ჩვენ ვიცით, ჩვენ ვიცით აგრეთვე თუ როგორ შეასრულა ოფ. რუსეთმა თავისი სიტყვა, მიცემული საქართველოსთან (პეტრე I ის მიერ ვახტანგ VI სპარსელებთან ომში ჩაბმა, ხელშეკრულება 1783 წ. და აქტი 12 სექტ. 1801)' და ახალ დენიკინურმა რუსეთმა, რომელმაც შარშან ომი დაიწყო სოჩის ოლქში და ეხლა კი ყაჩაღობა დაიწყო ზღვაზე („ჰოროხი“-ს დატყვევება).

საყურადღებოა აგრეთვე ისიც, თუ როგორ ლამობენ მემორანდუმის ავტორები, მოუსხდენ გამარჯვებულთა მაგიდას და დაიყო ნადავლი. გენ. დენიკინმა იცის, რომ სახელმწიფოებრივმა პოლიტიკამ არ იცის სენტიმენტალობა. მან კარგათ იცის, რომ რუსეთი და მარცხებულია და რომ ამერიკა არა, მდგომარეობა ფრიად სერიოზული იქნებოდა. გენ. დენიკინმა და მემორანდუმის ავტორებმა უნდა იცოდნენ, რომ 1915 წლის ხელშეკრულებას სრუტეების შესახებ, ჰქონდა არა ცალმხრივი ხასიათი, არამედ ორ მხრივი, რომლის არ ასრულება გამოიწვევდა შესაფერ შედეგებს, რომელიც კარგად ესმის ნაფიც ვექილ მაკლაკოვს და ბ. საზონოვს, რომ „ფორს მაიორ“-ი პოლიტიკამ არ იცის. ამასთან საჭიროა ვიცოდეთ ნამდვილი ხასიათი სომხეთთან ღამოკიდებულებისა. თუ ჩვენ გავიხსენებთ ალექსანდრა მესამის ფრაზას, რომ სომხეთი მას უნდა უსიმხბოდ და შევადარებთ მას მემორანდუმს დავინახავთ, რომ სომხეთის პოლიტიკა ისევ ძველებურია, დენიკინელების პოლიტიკა სომხები მიმართ ისეთივე ტრადიციონულია, როგორც სხვა ერების მიმართ. მემორანდუმში არაფერია ნათქვამი, თუ რომელ ს მხეთზეა ლაპარაკი, ოსმალეთისა თუ რუსეთის. ჩვენ ვიცით მილიუკოვის აზრი (რომელსაც ხაზი „გაუსვა ჩემთან პირად საუბარში იასის თათფირის შემდეგ ოდესაში) და აგრეთვე დობ ოარმ ის სხვა ხელმძღვანელთა შეხედულებაც, რომ რუსეთის სომხ თი არ არსებობს, არის მხოლ დ ოსმალეთის სომ ხეთი და დაპყრობა ოსმალეთის ზოგ ვილაილეტისა მათ არაფერი უღირთ.

ივ. უშვერიძე.

ჩვენი სტუდენტების ცხოვრება

უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში თავიანთ ბინებზედ ოთხი ავადმყოფი სტუდენტი ვინახულე. ავადმყოფი სტუდენტების ოთახები ძლივს ვიპოვნე ქალაქის განაპირა უბნების, სულ განაპირა, გადაკარგულ სახლების სარდაფის სართულებში. ოთახები მეტადრე ორი ადამიანის, საცხოვრებელ ბინებს არა გავდნენ. არც ერთ გიგიენურ მოთხოვნილებას იგინი არ აკმაყოფილებენ. სინათლე, სინესტე, სივიწროვე, სიცივე, აოაჩვეულებრივი შმორის სუნი და კიდევ სხვა. ორ ოთახს სიდამპლისაგან ძალიან რბილი ხის იატაკი ჰქონდა, ორს კი აგურისა. არც ერთ ოჯახში წელს ჯერ ცეცხლი არ დანთებულა. 1 ოთახში სინესტისაგან კედლები ჩამოსტიროდნენ—მაგიდაზე მდგომ სამარილეში ხვრილი მარილი გასაწური გამხდარიყო. ასეთს სურათს შეჰფერადებდა ოთახის ღატაკური მოწყობილობა—ჭრიალა ტახტი, სამფეხა სკამი ჩაგლეჯილი საჯდომით, ტახტზედ თივის ლეები უზეწოდ, რასაკვირველია, თივისავე მუთაქა უზეწოპირიოდ და ძალზედ გახეხილი გვერდებ ზეგლეჯილი ბაიკის საბანი.

ამნაირ ოთახში მცხოვრებ სტუდენტს არავინა ჰყავს — ობოლია. ხან გაზეთებსა ჰყიდის, ხან პაპიროს წუმწუმას და ასე—აი ამ ყოფა ცხოვრებაში—ნახეერათ მშიერ მწყურვალი სულს ლაფავს. ავადმყოფს დიდი სიცხე აქვს. გაციებულს ფილტვები მთლად დაჭერილი აქვს და გულ გვამიდან ღრმად ახვევლებს... საჭირო ზომები მიღებულ იქმნა...

ზემოდ მოყვანილს ბევრ წვრილმანს გამოვტოვებდი, რომ აღწერილ მდგომარეობაში ერთი, ორი, ათი, ოცი სტუდენტი იმყოფებოდეს. მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ ჩვენი სტუდენტობის 50—60 პროცენტი დაახლოვებით ასეთსავე უმწეო მდგომარეობას განიცდის. და განა ეეშმარიტი სურათი არ არის ზემოთ მოყვანილი სტუდენტი ჩვენი „გიეური“ ცხოვრების ზღაპრული სიძვირისა.

მოსწავლე ახალგაზრდა თაობის აღწერილ პირობებში დატოვება არას გზით არ შეიძლება. მოსწავლე თაობა ხომ უძვირფასესი და სათუთი განძია ყოველივე ერისთვის!

მოსწავლე ახალგაზრდობა ხომ ჩვენი ცხოვრების იმედი, მომავალი და ბედია!—და ნუთუ ჩვენი ბედი და მომავალი თაობა ასეთ პირობებში უნდა იზრდებოდეს?! მე მაგონდება, ჩემის სტუდენტობის დროის რუსეთის ცივ ქალაქებში გადახვიწილ ქართველი მოსწავლე თაობის სიღარიბე და ხელმოკლეობა ჩვენი იაფფასიან, სამშაურიან სადილების შოვნაზედ სირბილი და ერთი ვაი-ვაგლახი. „სტიპენდიებ-პოსობიებზე“ დასტა, დასტა თხოვნების წერა და უნივერსიტეტის კანცელარიებში დაუსრულებელი ხეტიალი... მაგრამ ვერაფრით ვერ შეედრება დღევანდელი აი აქ ჩვენში სტუდენტების უმწეო ცხოვრება წარსულის იქ რუსეთში ქართველი სტუდენტების ღარიბ ცხოვრებას. საპატიო ამის მიზეზები ბევრია... მაგრამ ანორმალური მდგომარეობა მაინც ჯეროვან გამოსავალს მოითხოვს, თუ ჩვენ გვინდა ჩვენი „მომავალი“ განსაცდელს გადავარჩინოთ, თავს ნუ მოვიტყუებთ იმითი, რომ ბევრი ჩვენი სტუდენტი მსახურობს და შეიძლება ერთსა და იმავე დროს თავი იჩინოს კიდეც და მეცნიერებაც შეისწავლოს. ეს წინადაც, ნორმალურ პირობების პირობებშიაც კი ყველასთვის შესაძ ებელი არ იყო და ეხლა, ხომ ყოველად შეუძლებელია. რომ ახალგაზრდობამ იმსახურ[illegible] [illegible] წავლოს. ან ერთი უნდა იყოს ამ მეორე და თ[illegible] [illegible] რესაც, მაშინ ახალგაზრდა თავის ჯანს და სიცოცხლის უნდა გამოეთხოვოს. ვიმეორებ სტუდენტების ცხოვრების აუტანელი მდგომარეობა გამოსავალს მოითხოვს და აი სწორედ ამაზე მინდა ჩემი აზრი გამოვთქვა.

დღეს-დღეობით ჩვენი სამინისტროები, გატაცებულია ახალგაზრდობის სამზღვარ გარედ სწავლისთვის გზავნით.

ჩემის აზრით სამინისტროებმა, თუ იმდენივე არა, რაც საზღვარ გარეთ წასულებს არგუნეს—ნახევარი მაინც აქ დარჩენილ უმაღლესი სასწავლებლის მოსწავლეთათვის უნდა გადაედოთ. შემდეგ დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ ჩვენი სტუდენტების მდგომარეობას ერობებმა, ქალაქებმა და მათმა კავშირებმა. ზოგიერთი ერობები და ქალაქები ეკმიმბა, მასწავლებლებს და სხვა თანამდებობის პირთ, რომ ვერა შოულობენ, აი სწორედ სტუდენტების დღევანდელ მდგომარეობაშია ის პირობები, რომლის საშუალებითაც თვითმართველობებს შეეძლებათ საჭირო რიცხვი მოსამსახურეებისა იყოლიონ მომავალში, თუ დღეს თვითეული ერობა, ქალაქი ღარიბ სტუდენტებს სტიპენდიებს დაუნიშნავენ პირობით, რასაკვირველია, რომ გათავების შემდეგ სტუდენტი ვალს სამსახურით გადაიხდის. ამ გზით შესაძ ებელია ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა სამინისტროების, თვითმართველობების და სხვა მომქმედი საზოგადოებების სტიპენდიანტებათ დანაწილდეს და მათ საშუალება მიეცეს მას დღევანდელი უმწეო მდგომარეობა ცოტად მაინც შეიცვალოს ქ. თფილისის თვითმმართველობას კი განსაკუთრებული მოვალეობა აწევს ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობისადმი. ბედმა თფილისს ჩვენი სამშობლოს, ჩვენი სწავლა განათლების დედა ქალაქობა არგუნა ისე, როგორც მოსკოვს რუსეთში. და აი, რომ მაგონდება მოსკოვის ხალ გაშლილობა თავის აუარებელი მოსწავლე ახალგაზრდობისადმი—სურვილი მებადება გულში, რომ ჩვენშიც დედა ქალაქიდან მოსწავლე თაობა აუცილებელ მოთხოვნილებას მაინც იკმაყოფილებდეს.

მაგ., უფასო ან შეღავათიანი ფასიანი ზოგად საცხოვრებლებით, იაფ ფასიანი საჰაე ი სასადილოებით, ახალგაზრდათავის კლუბები სამკითხველოებით, სამეცადინო სამეცნიერო კაბინეთებით და სხ. მე მწამს, რომ ასეთი შეერთებული დახმარებით ჩვენს მოსწავლე თაობას—ჩვენი ისტორიის ეომავალს სასურველ პირობებში ჩავაყენებთ მეცნიერების შესაძენათ და ცხოვრებისათვის მოსამზადებლად.

ეკ ი. ლომოური.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 11 დეკემბერს, საღ. 6 ს. ამხ. გ. მაჭავარიანის თავმჯდომარეობით შესდგა მეოთხე რაიონული კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა. სხდომის გახსნისას რიგს გარეშე განცხადება შემოაქვს ამხ. ლ. ბერიტაშვილს და თხოულობს დაჩქარებით გამოძიებულ იქნას მისი საქმე სხდომა ავალებს არჩეულ კომისიას არა უგვიანეს ორი კვირისა. მთავრობს ეს საქმე და მოახსენოს კოლექტივს. ამის შემდეგ სხდომა არჩევს შემდეგ კითხვებს: 1) მოხსენება ადგილებიდან, 2) მოხსენება დამფუძნებელი კრების სოც. დემ. ფრაქციიდან, 3) მოხსენება გვარდიის დღის კომისიისა, 4) საღამოს მოწყობის შესახებ.

პირველი კითხვის შესახებ სხდომა ადგენს მორიგ სხდომაზე, ხუთშაბათს, 19 დეკემბერს გაკეთებულ იქნას მოხსენებები რაიონში მყოფ მცირე კოლექტივების და სხვადასხვა დაწესებულებებში მომუშავეთა წარმომადგენლების მიერ. ამ სხდომაზე დასწრება ევალება ყველა მცირე კოლექტივების და მუშათა წარმომადგენლებს. მეორე კითხვის შესახებ სხდომამ მოისმინა ამხ. ილ. მახვილაძის მოხსენება დამფუძნებელი კრების ს.-დემ. ფრაქციიდან. მიიღო ის მხედველობაში და დაავალა მომხსენებელს მორიგ სხდომაზე გააკეთოს მოხსენებები. მესამე კითხვის შესახებ სხდომამ მოისმინა გვარდიის დღის მომწყობ კომისიის მოხსენება, მიიღო ის მხედველობაში და დაავალა კომისიას განაგრძოს მუშაობა. საღამოს მოწყობის შესახებ კოლექტივის საყურის გასაძლიერებლად, სხდომა ადგენს მიმართოს ვერაზე არსებულ გამრთობ საზოგადოების გამგეობას, გამართოს კოლექტივის სასარგებლოთ აღტაცებული საღამო. ამის შემდეგ სხდომა იხილავს რამდენიმე წვრილმან კითხვებს და ახურრება. მდივანი.

— —

ნავთლული. 4 დეკემბერს შესდგა ჩვეულებრივი კრება მე 7 დე რაიონის კოლექტივის წევრებისა. დღის [illegible]

ში იყო შემდეგი კითხვები: მოხსენება სადგურ სალოღლიდან; მოხსენება თფ. კომიტეტიდან; გვარდიის დღის 12 დეკემბრის უქმობა; საზოგადო კრების მოწვევა.

მოისმინა რა კრებამ მოხსენება სადგურ სალოღლიდან პარტიული მუშაობის შესახებ და ზოგიერთ პიროვნების წინააღმდეგ გამოსვლის შესახებ პოლიტიკურ ნიადაგზე, დაადგინა დაეკავალოს ამხანაგებს სიო ელენტს, აქვ. რაზმაძეს და შუბლაძეს მივიდნენ სალოღლში და მოიწვიონ კრება, განუმარტონ დამსწრე საზოგადოებას პოლიტიკური მუშაობის გეგმა და გამოარკვიონ საქმის ვითარება.

თფილისის კომიტეტიდან მოხსენება გააკეთა კომიტეტის წევრმა ევტ. ლორთქიფანიძემ, მან გააცნო კრებას კომიტეტში გარჩეული კითხვები, რაიც კრებამ უკამათოთ მიიღო.

გვარდიის დღის 12 დეკემბრის უქმობის შესახებ კრებამ იქონია რა მსჯელობა, დაადგინა ნავთლუღის რაიონულ შტაბთან შეერთებულთ ჩვენი მოწინავე ამხანაგებითურთ მოხდეს კრება კვირას, 10 საათზე, სადაც გამომუშავებულ იქნება 12 დეკემბრის უქმობის გეგმა.

იქონია რა მსჯელობა კრებამ საზოგადო კრების მოწვევის შესახებ დაადგინა იქნას მოწვეული ოთხშაბათს, ნაშუადღევის 3 საათზე, სადაც მივა წარმოადგენელი პროპაგანდისტთა კოლეგიიდან და გააკეთებს მომენტზე მოხსენებას. აგრეთვე მე-7-დე კოლექტივი გამოვა მოხსენებებით სხვა და სხვა კითხვებზე.

მდივანი.

მუშათა შოკრის

თფილისის რკ. გზის საქონლის სადგური. თფილისის რკ. გზის საქონლის სადგურში დღეს სრული წესიერებაა. არავითარ ბოროტებას იქ ალაგი არ აქვს. ბოროტების აღმოფხვრაში დიდი შრომა მიუძღვის მხოლოდ პარტიულ ორგანიზაციებს და მუშათა და მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირებს. რაც შეეხება სამსახურს და მუშაობას, ამ შიმშილობის დროს სრულდება წესიერათ და სინდისიერად.

აქ არსებობს ორი კავშირი: მუშათა ტეხნიკური და კომერციული აგენტების სექციები. მუშათა სექციები მჭიდროდ არიან დაკავშირებული და შეგნებულიც აქვთ თავიანთი პროფესიონალური ინტერესები. რაც შეეხება ტეხნიკურ და კომერციულ აგენტების სექციას, უნდა ითქვას სამწუხაროდ, რომ სულ არავითარი ნიშან წყალი არ ეტყობა. კავშირში შედის 300-ზე მეტი წევრი და კრებაზე ვერ ნახავ ორმოც კაცს. კრება ორჯერაც არ შემდგარა ამ ერთ წელიწადში, მიუხედავად იმისა, რომ გამგეობამ მრავალჯერ მოიწვია საზოგადო კრება. ეი ასეთია პროფესიონალური ინტერესების შეგნება ამ ინტელიგენტ ხალხისა, უმრავლესობამ ამ ინტელიგენტებისამ არც კი იცის, თუ სად არსებობს მათი სექციის გამგეობა და მხოლოდ მაშინ დაეძებს გამგეობას, როდესაც ადმინისტრაციისაგან შეურაცყოფილი იქნება ან გადაყენებული. ზოგიერთი ადმინისტრატორებიც კარგად გრძნობენ მათ სისუსტეს და ძალიანაც წათამამებული არიან, უდიერი მოპყრობა, მათი ყვირილი მოგაგონებთ ძველ ბოქაულების ყვირილს და თუ რომელიმე მოსამსახურე მისი ზონა მორჩილი არ არის, რასაკვირველია, ის ბევრ რამეს არის მოკლებული. არის ასეთი შემთხვევაც სადგურში: ბატონივით გრძნობს თავს ერთი კომისიონერი; როდესაც მოსამსახურე რაიმე საპატიო მიზეზით ვერ მიიღებს მის საქონელს, ის ძალიან გათამამებულათ შელანძღავს მოსამსახურეს და დამუქრებული მიდის უფროსთან და იქიდან მოაქვს ბრძანება „принять". რაღა ვამტკიცოთ ან უფროსი ან კომისიონერი, თუ ვინმე წათამამებულია ეს ჩვენი შეუკავშირებლობის ბრალია და იმედია აწი მაინც გაიგებენ ხსენებული აგენტები პროფესიონალური კავშირის მნიშვნელობას. ეხლა ხდება ახალი არჩევნები სექციის გამგეობისა, იმედია აირჩევენ სასურველ პირებს.

გან—ცანი.

წმ. ნინოს უბანი. წმ. ნინოს უბნის დემოკრატია მოკლებულია ისეთ კულტურულ დაწესებულებას, როგორიცაა მუშათა კლუბი... საზოგადოთ ყველგან, სადაც კი არ ბრის კულტურული დაწესებულება, იქ კაცის თვით მოქმედება ძალაუნებურად სუსტდება და იტაცებს მას ისეთი ცხოვრება, რომელსაც არ აქვს არც გუშინდელი, არც ხვალინდელი დღე. ამ პირობებში ადამიანის თვითმოქმედება უძლურდება და თავის და უნებურათ ყოველ საქმისადმი ანტიპატიას გრძნობს. ყოველივე ეს გაითვალისწინა რა წმ. ნინოს უბნის დემოკრატიამ, გადასწყვიტა გახსნას მუშათა კლუბი, ამავე უბნის ყოფილ სკოლის შენობაში, რომელიც ამ ჟამათ თავისუფალია, და რომელიც ადვილათ გადაკეთდება თეატრათ.

წმ. ნინოს უბნის დემოკრატიას სწამს და დარწმუნებულიც არის, რომ მის ფრიად სიმპატიურ სურვილს და მისწრაფებას, აღმოუჩენენ დახმარებას: ქართული კლუბი, ქალაქთა კავშირი, კოოპერატივთა კავშირი, ყველა დემოკრატიული კულტურული დაწესებულება და ყველა ის მოწინავე ამხანაგები, რომელთაც სწამთ და სურთ დემოკრატიის არსებობა....

გიორგი ნუკრაძე.

პროვინცია

განახლებულ მესხეთში.

ძველი მესხეთი, ეს საქართველოს ძველი კულტურის აკვანი, იღვიძებს, საღათას ძილიდან ერკვევა და კულტურულ მუშაობაში ებმება. ვ-ნ არ იცის, თუ როგორ ჩამორჩენილია დღევანდელი მესხეთ ჯავახეთის მხარე. ბუნებით მშვენიერი, მდიდარი განძეულობით, შვების მომგვრელი მხარე, ნანგრევებს წარმოადგენს დღეს. ნიჭიერი, ზრდილობიანი ხალხი, მოკლებული სწავლა განათლებას უვიცობისა და სიღატაკ-ს მორევში ირჩენება. არავინ იყო მზრუნველი, რომ მშობლიურის მზრუნველობით ეზრუნა მესხეთისათვის.

ზოგიერთი თურქოფილები, იმის მაგივრათ, რომ ხალხს დახმარებოდენ ჰირ-ვარამში, სამარეს უთხრიდენ მათ. და დღესაც ბევრია ასეთი ვაუბატონები. მაგრამ დღეს უკვე ხალხი ერკვევა და მტერ მოყვარესაც არჩევს. ამას ნათლად ამტკიცებს დღევანდელი კულტურული მუშაობა მესხეთის სხვადასხვა სოფლებში. ს. აწყურის გლეხობამ უკვე დაიწყო სკოლის, სამკითხველოს და კოოპერატივის საქმის მოგვარება. 4 ოქტომბერს შესდგა ამ სოფლის გლეხთა ყრილობა ექიმ გრ. ანტ. კეკელიას ინიციატივით. ძლიერ დახმარებას უწევს საზოგადო საქმეების მოგვარებას აგრეთვე ადგილობრივ ფოსტის უფროსი ზედგინიძე და მოხელე ფოსტის მ. ლომსაძე, რაიონის კომისარი ა. შუტოვრი. ამავე ყრილობამ აირჩია 9 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელიც მოაგვარებს ამ კითხვებს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამას წინად ვიღაც პირებმა ჯამაათის სახელით კომისარს წარუდგინეს ჩვენება, სადაც ის აზრი იყო გატარებული, რომ სოფელს არ შეუძლია სკოლის შეკეთება, რადგან ამის შეძლება არ არისო, მაგრამ ამის სრული წინააღმდეგი დაგვიმტკიცა კრებამ. ეს პირები საფლავს უთხრიან ჯამაათის კეთილ დღეობას. ასეთივე მოძრაობაა სხვა სოფლებშიაც: ტყემალა, ზაკირე, აგარა. კოპაძე და სხვაგან. ექიმ გ. კეკელიას თხოვეს ამ სოფლებიდან, რათა მან ხელი შეუწყოს მათ სოფლის კულტურულ საქმეების მოგვარებაში და ექიმიც სიამოვნებით მოღვაწეობს—ძველის მესხეთის ასაღორძინებლად. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მხარეში ძლიერ საჭიროა გამოცდილი და ენერგიული მუშაკები. რადგან მეტად ჩამორჩენილია მხარე. 5 ოქტომბერს კრება ქონდა ყრილობისგან არჩეულ კომისიას. კომისია შეუდგა მუშაობას, სოფლებში გამართავენ ყრილობებს, და ამ რიგად კვალად აღორძინების გზას დაადგება ძველი მესხეთი. სოფლები უკვე იწმინდება. ათასი სნეულება ჩნდებოდა სიბინძურისაგან. აწყურში ექიმ კეკელიამ, მამედ ალიბეგ მუხრანსკის, შუტოვის და ზედგინიძეს დახმარებით უკვე გასწმინდეს სოფელი. ასეთივე წინადადებით მიმართეს სხვა სოფლებსაც.

ქოპერატივის საქმე ძლიერ უნუგეშოდაა. იმედია კომისია ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს კოოპერატივების საქმეს. სამკითხველოს ამ მოკლე ხანში გახსნიან რაც ძლიერ სასარგებლო იქნება ხალხისთვის, რადგან პროვოკაციას დაეკარგება თავისი გასავალი. მხოლოდ მატერიალური ხელმოკლეობა ძლიერ უშლის ხელს კომისიას სამკითხველოს საქმის მოგვარებაში.

ყველა ქართველი მოვალეა თავისი წვლილი გაიღოს და დახმარება აღმოუჩინოს ძველს განახლებულს მესხეთს. წიგნებით, გაზეთებით, ფულით და სხვა. იმედია ქართველი საზოგადოება ზურგს გაუმაგრებს იმ პირებს, რომელნიც დღეს დაუღალავათ იღწვიან მესხეთის ასაღორძინებლად.

„მირკო".

საყულიის თემი (ვაკის რაიონი). საყულიის თემს შეადგენს სამი დიდი სოფელი: საყულია, ბაში და ოფშვითი. თემის საბჭო რამდენიმე თვეა არჩეული, სხვადასხვა კომისიებიც ავათ თუ კარგათ მუშაობენ, მაგრამ დადებით კი ვერაფერს ვხედავთ. გზები, სწავლა განათლება, ჯანმთელობა, ადმინისტრაციის მოწყობა, გადასახადები, ჩამორთმეულ ადგილ-მამულის სამართლიანათ უადგილმამულოთა შორის განაწილება—აი, რას უნდა მიექცეს თემის გამგეობის უმთავრესი ყურადღება. თემში სამი მთავარი გზაა: ქუთაისის, მუხიანის და კოპიტნარის. ქუთაისის და კოპიტნარის გზები გვარიანია, ხოლო არაფერი ეღირსა მუხიანის გზას. ეს გზა მუხიანის საყანეებში ორათ იყოფა, ერთი მოდის ქვედა და მეორე ზედა საყულიაში. ორივე მხარისკენ მიმავალ გზაზე ზაფხულში კიდევ შეიძლება გავლა, ზამთარში კი ცხენით და ურმითაც შეუძლებელია სიარული დიდი ტალახისა და წყლის გამო. ადგილობრივი მოწინავე მუშები 1909 წლიდან ცდილობდენ ამ გზების გეგმით გაყვანას, მაგრამ ძველი მამასახლისების წყალობით, ვერ ახერხებდენ. დღეს კი თემის გამგეობას, თუ კი ის უნარს გამოიჩენს, ადვილათ შეუძლია ამ გზების გაყვანა და ვაკეთება თანახმათ ხალხის დიდი ხნის სურვილისა. სწავლა განათლების მხრით სამივე სოფელი დიდათ დაქვეითებულია. სკოლები თუმცა სამივე სოფელშია, მაგრამ ხეირიანი შენობების უქონლობის გამო განყოფილებები სხვადასხვა კერძო ნაქირავებ სახლებშია მოთავსებული, არც ერთ სკოლაში არაა ბავშთა წიგნთსაცავი, საბავშვო ჟურნალები; მასწავლებლები არსად კვირაობით და საღამოობით სწავლის მსურველ მოზრდილებთან არ მეცადინეობენ, რაც არ ეპატიება სახალხო მასწავლებელს. კოოპერატივი, სამკითხველო ყველა სოფელშია, მათ მოწყობა მოწესრიგება საც გამოცდილი ხელი აკლია. საყულიაში არის აფთიქა, ექიმი და ექიმის თანაშემწე. საჭიროა ექიმის დაქირავების საკითხს თემის გამგეობამ დიდი ყურადღება მიაქციოს, მით უფრო, რომ ექიმი ადგილობრივია და თემისთვის მისი დაქირავება არც ისე აუტანელი იქნება. წელს გაზაფხულზე ზედა საყულიის მცხოვრებმა ერთ კრებაზე აირჩია „სახალხო სახლის" ამშენებელი კომისია, მაგრამ დღემდე მისი არაფერი ისმის. ამ თემიდან სხვა ქალაქებში წასულები მეტათ დაინტერესებული არიან ამ საკითხის მოწესრიგების შესახებ. თუ კომისია დაიწყებს მოქმედებას, იმედია ესენიც ეცდებიან ყოველნაირი დახმარება გაუწიონ მას.

ნ. ხეიფიშვილი.

თეატრი და მუსიკა

„ქეთო და კოტე".

17 ნოემბერს სახელმწიფო თეატრში დასდგეს ვიქტორ დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტე". ლიბრეტო ამ ოპერისა ავქ. ცაგარელის კომედია „ხანუმიდან" არის აღებული. ავქ. ცაგარელს ჩვენს დრამატიულ ლიტერატურაში ერთი პირველი ადგილთაგანი უკავია. მის კომედიებს დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა. ვისაც კი სურს ძველი თფილისის ადათ ზნე ჩვეულების შესწავლა, იგი მრავალ მასალას იპოვნის ცაგარლის პიესებში. ბ. დოლიძეს გადუკეთებია თავისებურათ „ხანუმა", მომქმედ პირთა სახელები შეუცვლია და მუსიკასთან შეუფარდებია. თუ რამდენათ მუსიკალურათ არის დამუშავებული ეს ოპერა, ეს სპეციალისტების საქმეა, მე კი აღვნიშნავ მხოლოდ, რომ იგი სასიამოვნო მოსასმენია, ადვილათ გასაგებია.

ეტყობა ბევრი შრომა და ენერგია დაუხარჯავს ა. წუწუნავას ამ ოპერის დადგმაში. მაყურებელს რეჟისორმა სასწორით გადაუშალა ძველი თფილისის ადათ ჩვეულებანი, ქეიფი, დროს ტარება. მასიურ სცენებს რეჟისორის მცოდნე ხელი ეტყობოდა. რაც შეეხება როლების აღმსრულებელთ, მიუხედავათ იმისა, რომ ბევრმა მათგანმა ქართული ენა არ იცის, მაინც პარტიები კარგათ შეესწავლათ და სასიამოვნო შთაბეჭდილებასაც სტოვებდენ. თავად ლევანის როლს ასრულებდა ახალგაზრდა მოღერალი თარხან-მოურავი.

მშვენიერი იყო ვაჭარ ტყუილიშვილის როლში ისეკაი. ვვარიანათ თამაშობდნენ დარდიმანდ მოქეიფე ქალაქელების როლებს ქურხული და კურბატოვი. კარგი იყო როგაჩევსკი და ქ-ნი კალანდაძე. X.

წერ. რედაქციის მიმართ

ღია წერილი

კავთისხევის ერობის ხმოსნებს: ლ. მამისაშვილს, კოტე შავყულაშვილს და მილიციის უფროსს გ. შავშეულაშვილს.

სოფ. გომიჯვარში არის ადგილი „საგუბრის მიწები". ამ მიწებს უხსოვარ დროიდან ჩვენი სოფლები ხმარობდნენ, ხოლო მამული კი ეხლა ეკუთვნის სახელმწიფო ფონდს. ეხლა გაუკეთებიათ ყალბი ვითომდა ძველ დროში დაწერილი ნასყიდობა, ვითომც ეს მამული ნაყიდი აქვს ილალა ნადირაშვილს. ეს ამბავი თქვენ კარგათ იცით. მოვდივართ თქვენთან საქმის გამოსარკვევად, თქვენ ყურადღებას არ გვაქცევთ. გიჩივლეთ გორში. მოგვივიდათ მოწერილობა, საქმე გამოიძიეთო. მაინც ყურადღებას არ გვაქცევთ. მოწინააღმდეგ პირს ასისიანებთ ჩვენს წინააღმდეგ, ლამის არის სისხლი დააბრუნოთ ჩვენს შორის. სა ჩივრას გვიშლით, უდიერად გვეკიდებით, გვემუქრებით: თქვენ ბალშევიკები ხართ უნდა დაგატუსაღოთო. გთხოვთ აგვიხსნათ ეს თქვენი საქციელი. ეს არ შეშვენის ერობის ხალხს.

სოფლის მონდობილობით: **კოლა ნადირაშვილი**, რადგან მან წერა არ იცის მის მაგიერ და ჩემს მაგიერ ხელს ვაწერ **ვახო ხადარაშვილი.**

1919 წ. 11 ნოემბერი სოფელი გომის ჯვარი.

გიბლიოგრაფია

„ალგებრულ ამოცანათა კრებული" კ. მ. კანდელაკისა.

უკვე მეორე წელიწადია, რაც ჩვენი შკოლის გაეროვნება თანდათანობით ხდება. შკოლის გაეროვნების საკითხი ჩვენთვის დიდ რთულ საკითხს წარმოადგენდა, მაგრამ დღეს უკვე შეიძლება ვთქვათ, რომ ამ საკითხს საბოლოოთ ვსძლიეთ. შკოლის გაეროვნება ჩვენში სრულიად ნორმალურათ, ჩქარი ტემპით მიმდინარეობს. ცხადია, რომ ჩვენი შკოლის გაეროვნებამ გამოიწვია სხვა დასხვა სახელმძღვანელოების საჭიროება ქართულ ენაზე.

ამ მხრივ ჩვენი რესპუბლიკის მოთხოვნილებას აკმაყოფილებს ორი ქალაქი: თფილისი და უმთავრესათ კი ქუთაისი.

ამ ჟამად ქუთაისში გამოვიდა ბ. კ. კანდელაკის „ალგებრულ ამოცანათა კრებული" ნაწილი მეორე, წიგნი პირველი. როგორც პირველი ნაწილი კრებულისა, გამოცემული „განათლების" ამხანაგობის მიერ, ისე მეორე, გამოცემული „მომავალის" ამხანაგობის მიერ, ფრიად საყურადღებოა.

კრებულები შედგენილია მეთოდიურის მხრივ სრულიად უნაკლოდ. პირველი ნაწილი თავდება მრავალ უცნობიან შეთანასწორებით, მეორე კი პროგრესიებით. პირველ ნაწილში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ალგებრულ რიცხვების შესწავლა.

ამ ჟამად ალგებრულ რიცხვებზე მოქმედებათა შესასრულებელ წესებს მეცნიერებაში არ ამტკიცებენ, არამედ იღებენ დაუმტკიცებლათ. ავტორიც ასე იქცევა. სამაგიეროთ კრებულში ვნახულობთ სათანადო მაგალითებს ხსენებული წესების განსამარტებლად. ალგებრულ რიცხვების ურთიერთ შორის დამოკიდებულების გამოსარკვევად ავტორი სარგებლობს რიცხვითი სწორ ხაზით.

ასეთი ხერხის საშუალებით ადვილი გასაგები ხდება, თუ როგორ უნდა გვესმოდეს, როდესაც იტყვიან: დადებითი რიცხვი მეტია უარყოფითზეო, ნული მეტია უარყოფით რიცხვზე და ნაკლებია დადებითზეო. ნული არ შეიძლება იყოს უარყოფითი და დადებითიო.

მსგავსი მხოლო წევრების გაცნობის შემდეგ ავტორი გადადის ისეთ ერთ უცნობიან შეთანასწორებათა გადაწყვეტაზე, რომელიც შესდგება მრავალრიცხოვან წევრებისაგან. ამ კონცენტრის მიზანია შეთანასწორების წევრების ერთი მხრიდან მეორე მხრით გადატანის და მსგავსი წევრების შეკრების შესწავლა.

შემდეგ ამისა კრებულში მოთავსებულია მაგალითები მხოლოწევრების და მრავალწევრების გამრავლებისა. მე 26 ე გვერდიდან იწყება ერთ უცნობიან შეთანასწორებათა გადაწყვეტის მეორე კონცენტრი. ამ კონცენტრის მიზანია მრავალ წევრების გამრავლებაში ვარჯიშობასთან ერთად შეთანასწორებათა ფრჩხილებისაგან და მნიშვნელებისაგან განთავისუფლების შესწავლა.

მესამე კონცენტრის მიზანია რთულ შეთანასწორებათა გადაწყვეტაში ვარჯიშობა.

ორ უცნობიან შეთანასწორებათა გადაწყვეტა გაშუქებულია გრაფიკული გზით. კრებულის ბოლოში ავტორს უპირველესათ მოყავს ტემპერატურის გრაფიკები და შემდეგ იძლევა ცნობებს დეკარტის კოორდინატთა სისტემის შესახებ. ეს ნაწილი შეიცავს უმაღლეს დაწყებით სასწავლებლების სრულ კურს ახალი პროგრამების მიხედვით, კრებულში მოყვანილია საჭირო წესები და არის დაწერილი მარტივი ენით. ვინაიდან ამ კრებულში მოყვანილია საჭირო წესები მოწაფეებს ამ სიძვირის დროს აღარ დასჭირდებათ ამ საგნის ცალკე საბელმძღვანელოს შეძენა.

ამ პირველი ნაწილის დადებითი მხარეების აღნიშვნის შემდეგ მინდა აღვნიშნო ის ნაკლი, რომელიც, ჩემის აზრით, საჭიროა შემდეგ გამოცემაში იყოს შევსებული. მე მაქვს სახეში მე-19 პარაგრაფი: გამრავლების შემოკლებითი ფორმულები და აგრეთვე პარაგრ. 20: შემოკლებითი გაყოფა. ხსენებულ პარაგრაფებში ცოტა რიცხვია მაგალითების და კერძოთ მთელ რიცხვებიან კოეფიციენტებიანებისა. ეს ის ნაწილია, რომელსაც მოწაფეები, ჩემის გამოცდილებით, ძნელათ ითვისებენ. ამიტომაც საჭიროა კრებულში იყოს მეტი მაგალითები ჯერ მთელ რიცხვებიან და შემდეგ კი, რა თქმა უნდა, ნაწევრიან კოეფიციენტებიანისა.

ამავე ავტორის კრებული ნაწილი მე-2, წიგნი 1-ლი შეიცავს ოთხ განყოფილებას: ხარისხით ამაღლებას და ძირის ამოღებას, კვადრატულ შეთანასწორებებს, უმაღლეს ხარისხიან შეთანასწორებებს და პროგრესიებს (არითმეტიკულ და გეომეტრიულს).

კრებულში მოყვანილია ყველა საჭირო წესები. მთელი კრებული ფუნქციონალური დამოკიდებულების თვალსაზროსით არის გაშუქებული დიდის ხელოვნებით. ცოტათი ბუნდოვანია პარაგრაფი 35, სადაც ავტორი განიხილავს კვადრატულ შეთანასწორებებს, როგორც კვადრატიულ სამწევრის ფუნქციის კერძო შემთხვევას, როდესაც ის ნულის მნიშვნელობას იღებს. აგრეთვე მე-7 გვერდზე და 77 გვერდზედაც შეპარულია თვით წესში შეცდომა (მე-7 გვ.—უნდა იყოს: თვითეულ წევრის კვადრატის დანარჩენებზე... არის: თვითეულ წევრის დანარჩენებზე, მე-77 გვ.—ზედმეტია ორი სიტყვა: „ერთის გამოკლებით").

კრებულში მაგალითები და სავარჯიშოები სრულიად საკმარისია, ამოცანები შინაარსიანია. კრებულში მოთავსებულია კვადრატულ შეთანასწორებათა და ამოცანების პასუხები. საერთოდ, როგორც პირველი, ისე მეორე ნაწილი კრებულის ძლიერ კარგ შთაბეჭდილებას ახდენს.

მახწავლებელი.

ანგარიში

1919 წლის 17, 18 და 19 ოქტომბერს გამართულ იქნა „დედათა და ბავშვთა დამხმარე საზოგადოების დღე", რომლის შემოსავალი უდრის: ყველაბერით შეგროვდა 25,983 მ. 67 კ.; 2) შემოწირულებები 77,027 მან. 50 კ; 3) კაფე „ინტერნაციონალში" გამართულ კონცერტი კაბარედან 11,162 მან.; 4) „არტისტიულ საზოგადოებაში" გამართული სპეკტაკლები და კაბარე 75,459 მ. 05 კ.: 5) „დიდების ტაძარში" გამართულ ლატარიისაგან 41,040 მ.; 6) სასახლის ბაღში ბავშვთა სეირნობისაგან 5,486 მ. 50 კ სულ 236,158 მ. 72 კ.

გასავალი: 1) ყველაბერით ფულის მოგროვებას მოწყობისათვის 5205 მ.; 2) „არტისტიულ საზოგადოების" დარბაზში გამართულ სპეკტაკლი და კაბარესათვის 36,386 მ. 40 კ.; 3) „დიდების ტაძარში" გამართულ ლატარიისათვის 2730 მ.; 4) სასახლის ბაღში ბავშვთა სეირნობის მოწყობისათვის 1253 მან. სულ 45,583 მ. 40 კ. წმინდა შემოსავალი უდრის 190,575 მ. 32 კ.

საზოგადოების გამგეობა გულწრფელ მადლობას უძღვნის ყველას ფულით თუ საქონლით შემომწირველთ, აგრეთვე იმათაც, ვინც მონაწილეობა მიიღეს საზოგადოების „დღის" მოწყობაში.

საზოგადოების თავმჯ. ი. ეორდანია.

განცხადებანი

ვუიდი პატარა სტამბას

ცნობების გაგება შეიძლება ქ. თელავში ქ. ონიკაშვილთან. (კუ3. 603—2—2)

ექიმი ქალი ნ. ბ. შიშლო-ბაბაშვილი მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლეგიისა. იღებს ყოველდღე შინაგან ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას ხიფილიხის წამლობა (606—914) დილის 10—12 ს. და საღამოს 5-6 ს. ჭლეხანოვის პრ. № 119, ტელეფონი № 9—26

ექიმი ჯ. ბ. ჯაბახიშვილი.
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 64. (საავადმყოფოს ახლოს) ტელეფ. 14—60. (თ.—2662.)

ექიმი ნ. ბ. ზაფრანი
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914"-ენერიულ (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: ოლდენ ქუჩა № 33.

ექიმი ნ. ფ. ფურცელაშვილი
იღებს შინაგან, საბებიო და ქალურ სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დღის 1—2 და საღ. 4—5, გარდა ოთხშაბათის და შაბათისა, რომელ დღეებშიაც იღებს მხოლოდ დილის 8—9.
მისამართი: ნიკოლოზის ქ. № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლოს.
(თ.—3023)

ექიმი ალ. ბ. ბაბაევი
ექიმი ი. ი. ბეიშვილი იღებს განსაკუთრებით სიფილისით (წამლ. „606" „914") ვენერიულ (ტრიპერი და მეშედეგები) და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ. მისამართი: ილიას ქუჩა, ... ლეფონი 35. (2950—თ.

ექიმი ქალი ე. ხ. ბებურიშვილი. ღებულობს ავადმყოფებს შინაგან, ქალთა და ბებიობის ნაწილებში დილ... 10—12 საათამდე საღამოს 5—7 საა... მდე. მისამართი: იზმაილოვის ქუჩა № 2... (თ. 3065).

ექიმი ა. ლევენშტეინი
შინაგანი ავადმყოფობანი. ყოველმხ... ვი გამოკვლევა და ფიზიკური მეთ... ებით აქიმობს გულის, ფილტვების, კუ... და ბაჭების ავადმყოფობათა. რენტ... ნის ხსივები. კრილოვის ქ. სახლი № ... გონიელოვისა, ბინა № 3. მიიღება ... ლის 11—12 საათ. და საღამოს 4—8 ... ათამდე. (თ. 2642)

ექიმი კ. ტუეშელაშვილი
ღებულობს ავადმყოფებს ვენერიულ, ... ფილ. (914 და 606) კანი, მიხაილოვ... (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩის ... კუთხე ფოსტის ახლოს. საღამოს 5—... საათამდე. (2925)

ოზურგეთში ექიმი ს. ვ. ababიძ... მიიღებს ავადმყოფებს შინაგან სნე... ფილტვების, გულის, კუჭის და წელ... ბის. ქალების ექიმობა „ტუბერკულინი... და „ფოსფაციდით", ვენერიული: სიფ... ლისი და მისი შედეგები—„914" ... „606" შეშხაპუნებით, კ. სიმაიშვილ... სახლში. (კუ3. 58...

სამკურნალო

(კავკ. წით. ჯვ. საოლქო სამმართველ... ჩერქეზ. ქ. № 77, იაკუბოვიჩის აფთ. გვ... ავადმყოფ. მიიღება ექიმ სპეციალისტებ... მიერ ყოველ დღე 9—2 საათამდე.
ვ. ხანაძე 9—12. შინ. ვენერ. სიფილ...
ფ. ფეხნერი 10—11, საბავშ. შინაგ. ...
ი. ტერეგაკიმოვი 12—1. ვენერ. სიფილ...
ი. ბოკერია 10—11. ხირურგ. ქალ... სნეულ. და საბებიო.
ი. ტერგრიგორიანცი 1—2. შინაგ. საბ...
ტ. განეუმოვი 11—12. ქალთა საბ... „606" და „914" ყოველ დღე.
რჩევა 10 მ. ოპერაციები მორიგებით. სამკურნალოს დირექტორი ვ. ბ. ხანა... ((2937—თ.)

ექიმი ჯ. ა. ხარაზიძე.
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებ... ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—... საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 9... ავშალის აუდიტორიის ახლო.

ვაგზლის პერძო სამკურ... ნალო

(ვაგზლის ქ. შიხინოვის აფთიაქის გვერ... დით, ტელ. 6—95)
ექ. არგუთინსკი შინაგ. და საბ... ყოველ დღე 10—11 ნახ.
ექ. ვართანოვი—ვენერ. და ...ანის ს... ყოველდღე 1—2.
ექ. ბოკერია ქირურგ. ქალთა სნეულ... და საბაკუშერო ყოველ დღე 10—11.
ექ. ქალი იოსელიანი ქალთა სნეულ... საბავ. ხუთშ. და შაბ. 11—12.
ექ. კლდიაშვილი შინაგ. და საბ... ყოველ დღე 1—3.
ექ. ტუშურიანცი შინაგანი სნ. ყოველ... დღე 11 ნახ—1.
რჩევა 10 მ., კონსულტაცია 50 მ... ოპერაციები შეთანხმებით „606" და „914" ((2930—თ.)

ექიმი ბ. ი. მირიანაშვილი.
შინაგანი სნეულებანი. მიიღება საღამ... 5—7 საათამდე, მისამართი ანდრეევ... ქუჩა № 74, ბინა № 1 ვაგზლის აფთ... აქის ახლო. (2849—თ.)

ექიმი ნიკოლოზ ფანდელაძე
იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულ... ბით ავადმყოფს ყოველ დღე საღამ... 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვ... ქ. № 11. (ზემელის აფთიაქის ახლოს) (2795—თ.)

ექიმი ბ. ფ. კეკელია
სიფილისი და ვენერიული სნ... ლებანი. შეშხაპუნება „606" და „914" მიიღება დილით 9—11, საღამოთი 4—... ს. მიხეილის პროს. სასტუმრო „ნოე" პირველი № 116. ტელ. 14—28.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების
მთავარ სამმართველო

ამით აცხადებს, რომ სურამის ფსიქიატრიულ ახალშენში შეიძლება მიღებულ იქნას დაზესებულ ფასით ხულით ავადმყოფი (მამაკაცი). დაწვრილებით პირობების გაგება შეიძლება წითელი ჯვრის კანცელარიაში (26 მაისის ქუჩა საბინო ინსტიტუტის შენობაში) და ქ. სურამში ფსიქიატრიულ ახალშენის უფროს ექიმთან. (2901—14—14)